პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., ამოკრება ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღიური

- უმუშევართა რიცხვი ინგლისში საგრძნობლათ გაიზარდა.
- ანრი ბარბიუსი არჩეულია ომის ინვალიდთა საერთაშორისო კავშირის პასუხისმგებელ მდივნათ.
- რიფები მაროკოში ზოგ რაიონებში შეტევაზე გადავიდნენ.
- საფრანგეთის სენატმა დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა სამხედრო ფლოტის ასაგებათ.
- გერმანელმა ფაშისტმა სტუდენტებმა პატიება სთხოვეს საბჭ. კავშირის მთავრობას. სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანა შეჩერებულია.

ხუთშაბათი, 9 ივლისი 1925 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 155 (1310)

პარასკევს, ივლისის 10, დილის 9 საათზე დანიშნულია

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

ცაკის მდივანი თოდრია.

სად ეძებენ დამნაშავეს და სად არის მართლა ის

იმპერიალისტური, ე. ი. ავაზაკური, დამპყრობელი და დამმონებელი ბურჟუაზიის საშინაო და საგარეო პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო: მშრომელი ხალხის უკმაყოფილება, მღელვარება, აჯანყება მეტროპოლიებში (დამპყრობელ ქვეყნებში) და მათ მეზობელ „პატარა“ სახელმწიფოებში—ეს ერთი მხრით, ხოლო დამონებული ერების აჯანყება და რევოლიუციონური ომები კოლონიებში და ნახევრათ კოლონიებში—მეორე მხრით. ყველგან ჰაერი, გაჟღენთილი თოფის წამლის სუნით, ყველგან ნიადაგი, გამოტენილი ამაფეთქებელი მასალით. ასეთ ატმოსფერაში პირისპირ უდგანან ერთმანეთს ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე და ერთი მეორის უარმყოფელი ძალა: ბურჟუაზიული სახელმწიფოები, პასუხისმგებლები მსოფლიოს ასეთი მდგომარეობისათვის, და დიდი საბჭოთა კავშირი. ბუნებრივია ასეთ პირობებში, რომ იმპერიალისტური ბურჟუაზია, რომელსაც სურს თავი გამოიხსნას ამ პასუხისმგებლობიდან, დაფაროს დაუფარავი და მყვირალა კვალი თავისი დანაშაულებისა და ავაზაკობის, ეძებს დამნაშავეს შექმნილი მდგომარეობისას და, ვინაიდან მას მოსვენებას არ აძლევს „მოსკოვი“, ისიც გამოჰყავს ყველგან მყოფ, ყოვლის შემძლე მიზეზათ. ამ მიზნით არიან მობილიზაციაქმნილი მთელი მოსყიდული პრესა, მოსყიდული პარლამენტის მოღვაწეები, პოლიტიკოსები, ინფორმაციისა და წესრიგის დაცვის საგენტოები, ერთი სიტყვით მთელი არსენალი ცილისწამების, ტყუილისა და ვერაგობის.

„ჯოჯოხეთის მანქანამ“ „თავი ახადა“ სობოროს ცანკოვის სატახტო ქალაქში—ამაში „მოსკოვის“ ხელი არის.

ინგლისის უმუშევრათ დარჩენილი მილიონებიანი მასები შეტევაზე გადადიან კონსერვატიული მთავრობის წინააღმდეგ და საზოგადოთ მუშათა მოძრაობა „მარცხნივ“ „მიდის“—დამნაშავეა ზინოვიევი თავისი „წერილებით“ (რომელსაც სთხზავენ საიდუმლო აგენტები).

მაროკოში აბდ-ელ-ქერიმმა ცხვირპირი გაუსწორა ესპანელ ყაჩაღებს (როგორც გამოირკვა საფრანგეთის აქტიური, თუმცა საიდუმლო დახმარებით (არაღით და სხვ.)—პრიმო-დე-რივერა მოსკოვს სდებს ბრალს ამაშიც.

ესპანელებზე გამარჯვების შემდეგ რიფები საფრანგეთის იმპერიალისტებს „მიუბრუნდენ“ ფრანგული ზარბაზნებით, ტყვიის მფრქვეველებით და ჰაეროპლანებით და ცხვირპირ გალესილებს ფეცის მიმართულებით ახევიებენ—პენლევე აცხადებს პარლამენტის ტრიბუნიდან, რომ მოსკოვი ურევია „საქმეში“.

აღსდგა დიდი ჩინეთი მომხვდურ მტაცებელ იმპერიალისტების წინააღმდეგ, დაიწყო ნაციონალურ-რევოლიუციონური ომი მუშების, სტუდენტების და ვაჭრებისა—აქაც „მოსკოვი“ ელანდებათ იმპერიალისტებს და ზინოვიევის აჩრდილი გაიზარდა წყნარი ოკეანეს ნაპირებზე, იმ ზინოვიევის, რომელიც დღეს ჩვენი სტუმარია, დასასვენებლათ ჩამოსული.

ერთი სიტყვით ჩვენ ვართ „ყველგან მყოფი“, „ყოვლის შემძლე“, ჩვენ დავაყენეთ ფეხზე ასეული მილიონიანი მასები დამონებული აზიისა და აფრიკის, ჩვენ ვართ „ბუნტის“ თავი, ალიაქოთისა და ვაი-უშველებელის გამომწვევი და მეთაურები, ჩვენ ვართ და სხვა არავინ.

როგორადაც არ უნდა „ჩასჩურჩულებდეს“ ეს ამბავი ჩვენ თავმოყვარეობას და ადიდებდეს ის მსოფლიოს თვალში ჩვენ ძლიერებას—უნდა განვაცხადოთ, რომ არ მიგვიძღვის დამონებული მსოფლიოს წინაშე დამსახურება განმანთავისუფლებელი მოძრაობის და ომების ყოვლის შემძლე და ყველგან მყოფი მეთაურებისა. ეს პატივი ძალიან დიდია და ჯერ კიდევ დაუმსახურებელი, საქმე სხვაგვარათ არის. მსოფლიო ბურჟუაზია ხედავს, რომ საბჭოთა კავშირი არ აწარმოებს იმპერიალისტურ ომებს, არ შესევია ინდოეთს, არ ეომება აბდ-ელ-ქერიმს, არ ხვრეტს შანხაიში გაფიცულ მუშებს, პირიქით, მას ისტორიის დავიწყებიდან ისტორიის დავიწყებიდან ისტორიული განვითარების ასპარეზზე გამოყავს პატარა და პაწაწა ერები, რომლებიც ბინადრობენ ყოფილი იმპერიის და დღეს დიდი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, აწყობს ცხოვრებას მშრომელი და ყოფილი დამონებული ხალხების სასარგებლოთ და ეს საკმაოა, რომ ასეთი მაგალითის მაჩვენებელი სახელმწიფო შეიქნეს იმპერიალისტების წყევლა-კრულვისა და გააფთრებული კამპანიის საგნათ.

ვინ არ იცის დღეს გარდა მოსყიდულებისა ან ყრუებისა და ბრმებისა, რომ მაგ. ჩინეთის ამბები, რომელთა გამო დაიწყეს იმპერიალისტებმა აღვირახსნილი კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომ ეს ამბები მომზადებულია მათი უკონტროლო და დაუსჯელი თარეშით აღმოსავლეთის დიდ ქვეყანაში. ასეთ დიდი მტკიცება არ უნდა ესაჭიროებოდეს, მაგრამ ხელახლა დაწყებული ცილისწამებისა და ტყუილების კამპანიის გამო მოსკოვის „პრავდა“ იძულებული იყო ამ დღეებში მოეყვანა მოწმეთ ისეთი პირები, რომლებიც აშკარა მტრები არიან კომუნისტებისა. ჩვენც გვსურს დღეს ვისარგებლოთ ერთი გაზეთით, რომელსაც, როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, არ უყვარს კომუნისტები და საბჭოთა კავშირი, გაზეთით, რომელიც ცოფმორეული, დორბლებით უყეფს ყოველ დილა-საღამოს (ორჯერ გამოდის დღეში) ჩვენ დიდ კავშირს. სახეში გვაქვს გაზეთი „ფორვერტს“, ცენტრალური ორგანო გერმანიის მენშევიკებისა.

იქ მეთაურ წერილათ მოთავსებულია (27 ივნისი) ჰაიდელბერგერი პროფესორის ემილ ლედერერის წერილი სათაურით „აზიის ერების გამოღვიძება“. რედაქცია შენიშვნაში სწერს, რომ წერილის ავტორი ორ წელიწად ნახევარი მოგზაურობდა აღმოსავლეთ აზიაში მისი გამოკვლევისა და შესწავლის მიზნით. მთელი წერილის შინაარსი და ის ფაქტი, რომ ის მოთავსებულია „ფორვერტსი“-ს ფურცლებზე, საკმაო მაჩვენებელია იმისი, რომ კომუნისტებთან მას საერთო აქვს იმდენი, რამდენიც „ფორვერტს“-ის რედაქტორს იოსებ შტამფერს, ნოსკეს, ბრიანს, ჰინდენბურგს ან ბალდვინს.

რას სწერს ის? სხვათა შორის შემდეგს ჩინელების გამოღვიძების შესახებ:

„ჩინეთი, რომელიც მხოლოთ გლეხთა ქვეყანაა, რომლის განაპირა მხარეებში უცხოეთის კაპიტალის და მრეწველების დახმარებით დაარსებულია პატარა სამრეწველო წამოწყებანი, ეს ჩინეთი არასოდეს არ ყოფილა აგრესიული. კონფუცინელების ეთიკა, რომელიც იქ დღემდე წარმოადგენს პოლიტიკურ ძალას, შეუძლებლათ ხდიდა ომის ცდას, რადგან ის წინააღმდეგი იყო ოფიცერთა კასტის შედგენისა და დიდმპყრობელური იდეოლოგიისა. ეს ყოველგვარ პოლიტიკის გარეშე და ძველ ოჯახურ-პროფესიულ ტრადიციებში მცხოვრები ხალხი, ჩათრეული იქნა, მისი სურვილის წინააღმდეგ, ევროპიულ-ამერიკულ „საქმიანობაში“. ის აიძულეს მონაწილეობა მიეღო ომში გერმანიის მოწინააღმდეგეთა მხარეზე. ის ყოველმხრივ „გააბედნიერეს“ მისიონერებმა და ამერიკის სკოლებმა თავის ქვეყანაში, ამნაირათ გამოაღვიძეს ეს ხალხი და ისიც ჩათრეული იქნა ღრმა მოძრაობის ფერხულში. მრავალი ათასი ახალგაზრდა ჩინელები, რომლებიც მოსწყვიტეს თავიანთ ტრადიციებს, იგემეს რა ჩვენი ძლიერების კულტის გავლენა, დღეს ხელმძღვანელობენ სახალხო მოძრაობას, რომელიც ასე აღელვებს ევროპის სახელმწიფოებს. ეს იდეოლოგიური ცვლილება, ის ფაქტი, რომ ახალი თაობა ჩინელებისა აღარ კმაყოფილდება კლასიკების შესწავლით, რომ ის ეცნობა ამერიკის უნივერსიტეტებში შეუბრალებლობას, დაუზოგველობას და თანამედროვე პოლიტიკას—ყოველივე ეს ვერ გამოიყვანდა უმოძრაობიდან რამოდენიმე საუკუნით განმტკიცებულ ტრადიციებში გაქვავებულ ხალხს. **მხოლოთ მას შემდეგ, რაც მისი სოციალური ორგანიზმი დასერა და დაარღვია მრეწველობის განვითარებამ, ამოძრავდენ იქ მასები“.**

ამნაირად ხსნის ავტორი ჩინეთის გამოღვიძებას, მისი ნაციონალურ განმანთავისუფლებელი მოძრაობის დაწყებას, რომელიც მიმართულია უცხოელების წინააღმდეგ და რომლის მონაწილენი თანაგრძნობით იხსენიებენ ყველა ფერადი ხალხების განმანთავისუფლებელ ბრძოლას.

მოვლენათა ასეთ შეფასებას შეადარეთ ახლა საფრანგეთის ბურჟუაზიის ხელმძღვანელი ორგანოს „ტან“-ის მეთაური წერილიდან (25 ივნისი) ასეთი ადგილი: „ჩინეთის ამბები გვიჩვენებენ ჩვენ ნათლათ, თუ ნაციონალური და სოციალური რღვევის როგორ დანაშაულებრივ მუშაობას აწარმოებს წითელი ინტერნაციონალი; როგორ ჰქმნის ის ანარქიას და იწვევს ომს“.

ორივე ავტორი მტერია როგორც ჩვენი, ისე ჩინეთის მოძრაობისა, მაგრამ ერთი, „ფორვერტს“-ის თანამშრომლისათვის მისაღწევი ობიექტიურობით, არკვევს მდგომარეობას, ხოლო მეორე უდგება ჩინეთის ამბებს საფრანგეთის „ოხრანკის“ („სიურტე ჟენერალ“), ე. ი. პოლიციელის თვალსაზრისით.

მსოფლიო იმპერიალისტები ეძებენ დღევანდელი მდგომარეობის დამნაშავეებს არა იქ, სადაც ისინი არიან. შეგნებულმა პროლეტარიატმა და აჯანყებულმა ხალხებმა იციან სად იმყოფებიან ისინი და კიდევაც გაუსწორდებიან მათ ხაკადრისათ.

პარტუჯრედების მუშაობა სოფლად

II

სოფლად, როგორც ხელისუფლების, აგრეთვე სხვა ორგანოების მუშაობის მიზანშეწონილად წარსამართავად მათ ირგვლივ გლეხობის ფართო მასსის თავმოსაყრელად და ყოველდღიურ მუშაობის ფერხულში ჩასაბმელათ, საჭირო არის უპირველესად ყოვლისა, ნორმალურ კალაპოტში მოვაქციოთ მოქმედება სოფლის პარტუჯრედებისა.

სოფლად მასსების თვითმოქმედების საშუალებით გადაწყვეტა სოფლის ყველა საჭირბოროტო საკითხების არის მთავარი დანიშნულება ჩვენი სოფლად მუშაობისა დღევანდელ მომენტში.

სოფლის რომელ ორგანოებში უნდა გამოხატოს მასსამ ეს თვითმოქმედება? ასეთი არის სოფლის და თემის საბჭოები თავიანთ სხვადასხვა კომისიებით და სექციებით, შემდეგ კულტურული დაწესებულებები, კოოპერატივი და სხვა.

რა უნდა აკეთოს აქ კომუჯრედმა, მან უნდა უხელმძღვანელოს ზემოხსენებულ ორგანოების მუშაობას. ვიმეორებთ, მისი მუშაობა უნდა გამოიხატოს მხოლოდ და მხოლოდ ხელმძღვანელობაში. უჯრედი ამ ხელმძღვანელობას უნდა უწევდეს ზემოხსენებულ ორგანოებში მომუშავე პარტამხანაგების და ფრაქციების საშუალებით და არა სხვა სახით. თუ ეს წესი ხელმძღვანელობისა დაირღვა,—ჩვენ მივიღებთ უჯრედების მიერ ხელისუფლების ან რომელიმე სხვა ორგანოს ფუნქციების მითვისებას, რაც ძირიანათ ეწინააღმდეგება პარტორგანოს დანიშნულებას.

უჯრედი სწყვეტს რა თავის სხდომაზე ამა თუ იმ საკითხს, ის ავალებს მაგალითად საბჭოს ფრაქციას ან კოოპერატივის გამგეობის წევრს (პარტიულს), რომ ფრაქციამ ან პარტწევრმა (სადაც ფრაქცია არ არის) დასვას საბჭოს ან კოოპერატივის გამგეობის სხდომაზე ესა თუ ის საკითხი, გახადოს ის ფართო აზრთა გაცვლა-გამოცვლის, მსჯელობის საგნათ და ეცადოს გაატაროს საკითხის გადაწყვეტა უჯრედის მიერ მიცემული დირექტივების მიხედვით.

მაგრამ ამას უნდა აღწევდეს ის, რასაკვირველია, არა იძულებით, არამედ დარწმუნებით, სერიოზული ფაქტებით უნდა ამტკიცებდეს საკითხის ასე გადაწყვეტის საჭიროებას. კომუნისტი ან ფრაქცია კამათის დროს არამც და არამც არ უნდა გამოდიოდეს ფრაქციის ან უჯრედის დადგენილების საბუთით და ზევიდან არ უნდა ახვევდეს საბჭოს ან რომელიმე სხვა ორგანოს უჯრედის დადგენილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ფრაქციის და უჯრედის დადგენილებით გამოვლენ, საკითხის გაშუქებას ეკარგება ყოველიგვარი ინტერესი, ვინაიდან იშვიათია, რომ უპარტიო გლეხებმა უჯრედის დადგენილება მსჯელობის საგნათ გახადოს, მას ის წინასწარ გადაწყვეტილათ მიიჩნევს და უბრალო თითის აწევით დაადასტურებს. ამას გვიმტკიცებს მრავალი მაგალითები წარსული მუშაობიდან.

უჯრედი უნდა იყოს სოფლის ცხოვრების ღირსეული ხელმძღვანელი.

რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს იმას, რომ სოფლის უჯრედმა ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის დროს უნდა საკითხი ყოველმხრივ ასწონ-დასწონოს.

რასაკვირველია, ასეთნაირათ აწონდაწონილი და დამუშავებული საკითხი ყოველთვის დიდი ინტერესით დამუშავდება საბჭოს სხდომაზე.

საბჭოს სხდომაზე მსჯელობის დროს საბჭოს წევრი კომუნისტის ქცევა—არ უნდა სტოვებდეს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ის საბჭოს უპარტიო წევრების მიმართ რაღაც განსხვავებულ არსებას წარმოადგენდეს, იმიტომ მხოლოდ, რომ ის არის წევრი კომპარტიისა. გლეხმა იცის, რომ ის კომუნისტია, მმართველი და ხელმძღვანელი პარტიის წევრია, მაგრამ ყოველივე ამასთან გლეხმა უნდა იგრძნოს, რომ ის ღირსია ამ ხელმძღვანელი პარტიის წევრობის. ეს მან უნდა დაუმტკიცოს გლეხს თავისი სერიოზული და დაფიქრებული მსჯელობით ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის დროს. ის გლეხმა თვითონ უნდა იცნოს სოფლის ცხოვრების ხელმძღვანელათ, თავის ბელადათ.

ცუდია ის ხელმძღვანელი, რომელსაც არა აქვს შესწავლილი და არ ესმის ამა თუ იმ ორგანოს მუშაობა. ამ მიზნით უჯრედი ავალებს პარტწევრებს, რომლებიც ეწევიან მუშაობას ამა თუ იმ დარგში, აკეთონ მოხსენება, თუ როგორ მუშაობს ხელისუფლების ან რომელიმე სხვა ორგანო. ასრულებს, თუ არა ის თავის დანიშნულებას, რამდენათ ტარდება მათში მომუშავე ამხანაგების საშუალებით პარტიის დირექტივები და სხვა.

მოისმენს რა მოხსენებას უჯრედი იმსჯელებს ამა თუ იმ ორგანოს დეფექტებზე და დადებითი მხარეებზე. აღნიშნავს ყოველივეს თავის დადგენილებაში და დაავალებს ისევ იქ მომუშავე ამხანაგებს აღძრან საკითხი მუშაობის გამოსასწორებლათ. დაამტკიცონ წარსული შეცდომების გამოსწორების საჭიროება, გაატარონ ყოველივე ეს ფართო მასსების მონაწილეობის საშუალებით.

აქაც გლეხი უნდა ხედავდეს კომუნისტ საბჭოს წევრში ისეთ პიროვნებას, რომელიც აჟღავნებს წარსული მუშაობის უარყოფითი შედეგებს და იძლევა ახალ ხაზს მუშაობისას **გამოდის რა გლეხობის ნამდვილ ინტერესებიდან.** ამ შემთხვევაშიაც, რასაკვირველია, კომუნისტი მოქმედებს როგორც ზემოთ ნათქვამია და ის ატარებს ცხოვრებაში უჯრედის დირექტივებს არა ამ დირექტივის თავზე მოხვევის საშუალებით, არამედ შინაარსიანი, დასაბუთებული მსჯელობით და საკითხის ყოველმხრივ გაშუქებით.

ა. ურუშაძე.

მოსამსახურეთა დათხოვნის წესები

ამხ. ს. გოდაბრელიძე თავის წერილში („კომუნისტი“ № 145) შეეხო მეტათ მნიშვნელოვან საკითხს. სამსახურიდან დათხოვნილი მოსამსახურის პირად მოწმობაში დათხოვის მიზეზის შეტანა დაწესებულების მიერ ნიშნავს დათხოვის არსებულ წესთა შეცვლას. ამიტომ საჭიროა ამხ. გოდაბრელიძის წინადადებას ჩავუფიქრდეთ და ავსწონ-დავსწონოთ ის.

ავტორის მთავარი აზრი შემდეგში მდგომარეობს: „ასეთი მოვლენის (ავტორს სახეში აქვს დაუდევრობის, გაფლანგვის, დავალების სისტემატიურად აუსრულებლობის, საქმის უცოდინარობისა და მსგავსი მიზეზებით დათხოვილი მოსამსახურის ხელახლა სხვა წარმოება-დაწესებულებაში მიღება. ა. ნ.) თავიდან ასაცილებლად საჭიროა, რომ არსებული შრომის კანონმდებლობაში შეტანილი იქნეს შესწორება და მიეცეს უფლება წარმოება-დაწესებულებებს მოწმობაში აღნიშნონ დათხოვის მიზეზები... და სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებს უფლება მიენიჭოს არა მარტო დათხოვის მიზეზის პირად მოწმობაში აღნიშვნისა, არამედ გაზეთებშიც საჯაროთ გამოცხადებისა“.

ასეთი შეხედულები ამხ. ს. გოდაბრელიძისა გამომდინარეობს იქიდან, რომ მას სახეში ჰქონია მხოლოთ შრომის კოდექსის 42 მუხ. მას დავიწყებია, რომ ყველა დანაშაულობა, რომელსაც ის ჩამოთვლის, გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსში (იხ. 107, 108, 113 მუხლები) და კანონმდებელს ამ დარგში არაფერი გამორჩენია, ყველა დანაშაულებისათვის დაუწესებია სასჯელი და სწორათაც დაუყენებია სასჯელთა ოდენობა. სასჯელის ზომიერება სავსებით უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულობის ოდენობას.

ამხ. ს. გოდაბრელიძე თავის აზრის დასამტკიცებლად მატერიალური სარგებლობისაგან გამოდის. ის დათხოვის წესების შეცვლას ასაბუთებს იმით, რომ ასეთი მავნე პირები სახელმწიფოს ზარალს აყენებენ.

ავტორის აზრს რომ დავადგეთ, მაშინ გვერდზე უნდა გადავდოთ ყოველგვარი სხვა პრინციპი, გარდა მატერიალური სარგებლობისა და მაშინ საჭირო იქნებოდა არა მარტო დათხოვის წესთა შეცვლა, არამედ ყველა კოდექსების გადასინჯვა და გადამუშავება ახალ პრინციპების მიხედვით. მაშინ მოისპობოდა 6 და 8 საათის სამუშაო დრო, რომელსაც საფუძვლად უდევს არა მარტო სარგებლობის პრინციპი, არამედ ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიური და კულტურული მოთხოვნილებანი.

ეს უკანასკნელი პრინციპები უდევს საფუძვლად სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსებს მაშინ, როდესაც ამხ. ს. გოდაბრელიძე მხოლოდ სარგებლობის პრინციპებით ხელმძღვანელობს, დათხოვის წესთა გადასინჯვაში. ის ივიწყებს ზემოთ დასახელებულ საფუძვლებს მომქმედ კოდექსებისას.

ხშირათ აღშფოთებას იწვევს ის, რომ კაპიტალისტურ წარმოებაში მუშა ერთგვარ მანქანათ იქცევა, ეკარგება მას თავისი „მე“, ე. ი. მორალური ელემენტები მასში იხშობა. ასეთ ივე მოვლენას აქვს ადგილი ამხ. ს. გოდაბრელიძის წერილში ხოლო სულ სხვა სახით ეს შეხედულება ადამიანზე საფრთხეს წარმოადგენს და მშრომელის ექსპლოატაციის ფართო სარბიელს აძლევს.

სადაც აქვს ამხ. ს. გოდაბრელიძეს საქმის უცოდინარობისა და დაუდევრობის საზომი, გარდა პირადი შეხედულებისა წარმოება-დაწესებულებათა ადმინისტრატორებისა. ერთად-ერთი მოსაზრებაა გაფლანგვა, რომელზეც ამხ. ს. გოდაბრელიძეს შეუძლიან დაეყრდნოს თავისი წინადადების დასაცავათ. მაგრამ ამ დარგში იმდენი გამაფრთხილებელი და გამასწორებელი ზომებია შემოღებული სისხლის სამართლის კოდექსის წესებში, რომ ადმინისტრატიული ზომების მიღება ზედმეტი ხდება. დასახელებულ კოდექსის წესებში გათვალისწინებულია აგრეთვე სხვადასხვა თანამდებობის დანაშაულობანი სწორეთ ისინი, რომელთაც ამხ. ს. გოდაბრელიძე ჩამოსთვლის თავის წერილში. დამატებითი სასჯელის შემოღება სრულიათ ზედმეტია.

დაინტერესებულ დაწესებულებებს შეუძლიათ მეტი სიმტკიცით მოეკიდონ თავის უფლებათა გამოყენებას სისხლის სამართლის კოდექსის ძალით და დამნაშავენი კანონისამებრ სასამართლოს გადასცენ. ყოველი დამნაშავე თავის სასჯელს მიიღებს დანაშაულობის ოდენობის თანაბრათ.

მარტოოდენ ადმინისტრაციის შეხედულებაზე დატოვება დათხოვის მიზეზის გამორკვევისა და მისი მოწმობაში შეტანის, სულ მოკლე ხანში ადმინისტრაციის ხელში თვითნებობათ გადაიქცევა და ამის წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გაძნელდება.

საჭიროა მხოლოთ საადმინისტრაციო შემადგენლობის გაჯანსაღება და არსებული წესების ცხოვრებაში გატარება. სასამართლოს მიერ დამნაშავეთ ცნობილნი, რასაკვირველია, არ უნდა იქნენ სამსახურში მიღებული იმისდამიხედვით, თუ განაჩენში მოსამსახურის უფლების ჩამორთმევის რა ვადა იქნება განსაზღვრული.

სისხლის სამართლის კოდექსის უფრო დაწვრილებით დამუშავება საშუალებას მოგვცემს წარმატებით ვებრძოლოთ სამსახურის დროს ჩადენილ დანაშაულებას.

ა. ნ.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ჩერჩილი და ბირკენხედის კამპანია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის წინააღმდეგ.

ბალდუინი და ჩემბერლენი წინააღმდეგი არიან საბჭოთა მთავრობასთან ურთიერთობის შეწყვეტის.

პოლონურ ჯარის ნაწილების ახალი თავდასხმა საბჭოთა საზღვარზე

საბჭოთა კავშირში მოემგზავრება ომის ინვალიდთა საერთაშორისო ყრილობის დელეგაცია.

ამხ. რაკოვსკი ბერლინიდან ლონდონს გადაფრინდა.—ამხ. კრასინი ჩავიდა პარიზში.—იაპონიის ელჩის ჩასვლა ხარბინში.—პოლონელ ჯაშუში ოფიცერის დაპატიმრება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარზე.—შეტაკება პოლონელ ჯარისკაცებსა,—რომლებმაც საზღვარი გადმოლახეს,—და საბჭოთა საზღვარის მცველ რაზმს შორის.

დამოკიდებულება იაპონიასთან

საუბარი იაპონიის ელჩთან საბჭოთა კავშირში

ხარბინი. 7 ივლისი. გზათ მოსკოვისკენ ხარბინში ჩამოვიდა იაპონიის ელჩი საბჭოთა კავშირში, ტანაკა.

გაზეთების თანამშრომლებთან საუბრის დროს ტანაკამ სთქვა: „მე მივემგზავრები მოსკოვში სიხარულით და რწმენით, რომ იაპონიის ხალხი ჩემს მგზავრობას დიდი სიმპატიით უყურებს. იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა რომ დღითი დღე უფრო განვითარდება—ეს უბრალო ქათინაურები კი არ არის, არამედ ჩემი ღრმა რწმენა. **იაპონიას და საბჭოთა კავშირს შორეულ აღმოსავლეთში მრავალი საერთო ინტერესები აქვთ. ჩვენ დავეხმარებით ერთი მეორეს ვაჭრობასა და მრეწველობაში.** იაპონიის მთავრობა ურჩევს საბჭოთა მთავრობას მრავალ მრეწველს, რომლებიც თვითვე გამართავენ მოლაპარაკებას შორეულ აღმოსავლეთში სამეურნეო მუშაობის წარმოების შესახებ. რამდენიმე მრეწველი, ნავაზაკოს მეთაურობით, ჩემთან ერთად მოემგზავრებიან; სხვები კი უფრო გვიან ჩამოვლენ“.



ტოკიტი ტანაკა

იაპონიის ელჩი საბჭოთა კავშირში.

ტოკიტი ტანაკა იაპონიის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეა. დაიბადა ის 1887 წელს და უმაღლესი კომერციული აკადემიის დამთავრების შემდეგ სახელმწიფო სამსახურში შევიდა. თავისი მოღვაწეობა დაიწყო მან კონსულის თანამდებობით სეულში (კორეა). ამის შემდეგ ტანაკას უჭირავს კონსულის თანამდებობა ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში. 1910 წ. ის დაინიშნა იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროს მდივნად 1916 წელს ტანაკა ინიშნება იაპონიის საელჩოს მრჩევლათ ვაშინგტონში, ორი წლის შემდეგ კი საგარეო საქმეთა სამინისტროს სავაჭრო დეპარტამენტის დირექტორად.

1922 წ. ტანაკა უკვე გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგია. ამ თანამდებობაზე დაჰყო მან ორი წელი. შემდეგ მან დასტოვა სახელმწიფო სამსახური და სათავეში ჩაუდგა იაპონიის ერთ-ერთ უდიდეს გაზეთს „ჯაპან ტაიმს“.

ტანაკა მშვენივრათ იცნობს იაპონიის ეკონომიკას და უდიდეს მნიშვნელობას აძლევს იაპონიისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიურ დაახლოებას.

პოლონელი მემამულეები ვერ ისვენებენ

პოლონელების თავდასხმის გამო ლეპეშოვკა—შილიკის რაიონზე

კიევის მშრომელთა აღშფოთება

კიევი, 7 ივლისი. კიევის ქალაქის საბჭოს ქარხკომებისა და მოსამსახურეთა კომიტეტების თანდასწრებით მოსმენილი იქნა მოხსენება პოლონელთა თავდასხმის შესახებ საბჭოთა სანაპირო სადარაჯოზე. კრებამ გამოსთქვა პროტესტი პოლონეთის ბურჟუაზიის თავხედური საქციელის წინააღმდეგ. მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ ეს აქტი წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ინტერესების აშკარა შელახვას. კრების მონაწილენი მოითხოვენ მთავრობისაგან მიღებას გადამწყვეტ ზომებისას, რომელნიც სავსებით უზრუნველჰყოფენ მშრომელთა ინტერესებს. რეზოლიუცია თავდება სიტყვებით: **„ხელები შორს საბჭოთა კავშირისაგან“.**

ქუჩაში გამოკრული დეპეშა პოლონელთა თავდასხმის შესახებ იზიდავს მრავალ ხალხს, რომელიც თავის აღშფოთებას გამოსთქვამს ამის გამო.

პოლონელ ჯაშუშის დაპატიმრება

მინსკი, 7 ივლისი. 3 ივლისს ჩვენმა სანაპირო რაზმელებმა დააპატიმრეს პოლონელი ოფიცერი რონდომანსკი, რომელმაც ჯაშუშობის მიზნით გადმოლახა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარი. შენიშნა თუ არა ოფიცერის დაპატიმრება, პოლონეთის სანაპირო რაზმმა აუტეხა სროლა ჩვენს სანაპირო რაზმელებს. შემდეგ პოლონელმა ჯარისკაცებმა, რიცხვით 7 კაცმა, გადმოლახეს საზღვარი, ალბათ, დაპატიმრებულ ოფიცერის გასანთავისუფლებლათ. ჩვენმა რაზმელებმა მათ სროლით უპასუხეს. პოლონელები გაიქცნენ უკან.

როდესაც პოლონელებმა გადმოლახეს ჩვენი ტერიტორია, მძიმეთ დაიჭრა საბჭოთა სანაპირო რაზმის ერთი თანამშრომელი. რონდომანსკი დაპატიმრებულია სამოქალაქო ტანთსაცმელში.

გერმანელი ფაშისტები პატიებას ითხოვენ

მოსკოვი, 7 ივლისი. 4 ივლისს საბჭოთა კავშირის ცაკს გერმანიის საელჩომ გადასცა გერმანელ ფაშისტების ვოლშტის და კინდერმანის მშობლების შუამდგომლობა პატიების შესახებ.

ასეთივე შუამდგომლობა შემოვიდა დოქტორის დამცველ—ოცეპისაგან. ამასთან დაკავშირებით კალინინმა შეაჩერა განაჩენის სისრულეში მოყვანა შუამდგომლობათა გარჩევამდე ცაკის პრეზიდიუმში.

6 ივლისს შემოვიდა კინდერმანის და ვოლშტის დამატებითი შუამდგომლობა, რომელშიც ისინი ბოდიშს იხდიან თავისი საქციელისათვის სასამართლოში და ითხოვენ პატიებას.

შუამდგომლობის ბოლოში ვოლშტი სწერს: „ვბედავ მივმართო საბჭოთა კავშირის ცაკს თხოვნით შეაჩეროს სასიკვდილო განაჩენის შესრულება პატიების გზით“. კინდერმანი თავის თხოვნას ათავებს სიტყვებით: „გთხოვთ სასიკვდილო განაჩენის გაუქმებას. ჩემი გულწრფელი სურვილია — მოვაწყო ცხოვრება ისე, რომ იგი გახდეს პატიების ღირსი, რომელსაც მე ვითხოვ. ხაზს უსვამ რა კიდევ ჩემს ახალგაზრდობას, ჩემი შინაგანი გარდატეხის გულწრფელობას, მამაჩემის რევოლიუციონურ წარსულს და იმ გარემოებას, რომ მე წარმოვადგენ მშობლების ერთად-ერთ იმედს, იმედით ვგზავნი ამ შუამდგომლობას და დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა მთავრობა ჩემდამი გამოიჩენს ლმობიერებას და ვთხოვ ცაკ-ს მიიღოს შუამდგომლობა“.

ყველა აღნიშნულ შუამდგომლობათ განიხილავს საბჭოთა კავშირის ცაკ-ის პრეზიდიუმი.

ინგლისი

რაკოვსკის გადაფრენა ლონდონში.

ბერლინი, 7 ივლისი. გუშინ ბერლინში ჩამოვიდა რაკოვსკი, დღეს დილით კი გადაფრინდება ლონდონში.

სუსტი პასუხი.

ლონდონი, 7 ივლისი. ინგლის-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების საკითხის გარშემო თემთა პალატაში ატეხილ კამათის დროს მუშათა პარტიის წევრმა უოლხედმა იკითხა, ვალდებული არიან თუ არა მთავრობის წევრები წინასწარ მოიფიქრონ, თუ რისი თქმა შეიძლება, სანამ რაიმე სისულელეს იტყოდენ, რათა მათ ასეთ გამოსვლებს საყოველთაო კატასტროფა არ მოუვესო.

ჩემბერლენმა უპასუხა: „სისულელეს მარტო ერთი მხარე როდი ლაპარაკობსო“.

რა სურს ჩერჩილსა და ბირკენხედს.

ლონდონი, 7 ივლისი. „როსტას“ კორესპონდენტი ესაუბრა მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინგლისის ბურჟუაზიულ პრესის კამპანიის გამო.

საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ მდგომარეობა ფრიად სერიოზულია და, შესაძლებელია დამთავრდეს დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტით.

კაბინეტის უმცირესობა, მათ შორის ბალდვინი და ჩემბერლენი მომხრე არიან საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაგრძელების სასარგებლოდ, მაგრამ ჩერჩილი, ბირკენხედი და სხვა მინისტრები სცდილობენ აუცილებელი გახადონ ურთიერთობის გაწყვეტა.

საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის საკითხი.

ლონდონი, 7 ივლისი. თემთა პალატაში ვაჭრობის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს ლიბერალურ პარტიის ერთ-ერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა ალფრედ მონდმა აღნიშნა ვაჭრობის კრიზისი ინგლისში და განაცხადა, რომ კრიზისის მიზეზია ინგლისის ვაჭრობაში უცხოეთის კაპიტალების მონაწილეობის შემცირება, რაც აიხსნება მთავრობის პოლიტიკით, რომელიც ზღუდავს უცხოეთის საქონლის შემოტანას ინგლისში.

ლიბერალი კენვორტი და მუშათა პარტიის წევრები ვაჭრობის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს მოითხოვდენ შეღავათების შემოღებას საექსპორტო ვაჭრობაში საბჭოთა კავშირის მიმართ.

საფრანგეთი

მსახიობთა მიწვევა.

მოსკოვი, 7 ივლისი. საფრანგეთის რადიო-კამპანია „რადიოტელეფონი“ სთხოვს საბჭოთა რადიო-საზოგადოებას — „რადიო-პერედაჩას“ ურჩიოს მას, თუ რომელ რუს-მსახიობებს მიმართოს მან რადიოკონცერტში მონაწილეობის მისაღებად. თავის მხრივ ფრანგული კამპანია კისრულობს ასეთსავე დახმარებას საფრანგეთში.

საფრანგეთ საბჭოთა კავშირის სამეცნიერო კავშირი.

ლენინგრადი, 7 ივლისი. სამეცნიერო აკადემიამ საფრანგეთთან სამეცნიერო კავშირის დასამყარებლად პარიზში გაგზავნა ცნობილი ბოტანიკი, აკადემიკოსი ბოროდინი.

კრასინის ჩამოსვლა პარიზში.

პარიზი. 7 ივლისი. პარიზში ჩამოვიდა საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი კრასინი.

პოლონეთი

მიპატიჟება ლვოვის ბაზრობაზე.

კიევი, 7 ივლისი. კიევის საბაზრო კომიტეტმა ქალ. ლვოვიდან მიიღო მიპატიჟება ლვოვის ბაზრობაზე მონაწილეობის მისაღებად, ბაზრობა დაიწყება 15 სექტემბერს. ლვოვის საბაზრო კომიტეტი პლაკატებს ბეჭდავს რუსულ ენაზე და გამოფენაზე დიდ ადგილს უთმობს საბჭოთა მრეწველობას.

ომის ინვალიდთა დელეგაცია მოემგზავრება საბჭოთა კავშირში

ომში ყოფ. მონაწილეთა კავშირის ყრილობა

პარიზი, 7 ივლისი. ომში მონაწილეთა კავშირის საერთაშორისო ყრილობამ დაადგინა—საბჭოთა კავშირში გაგზავნონ დელეგაცია, იქაურ ეკონომიურ მდგომარეობის შესასწავლათ.

კავშირის ბიურო მუდმივათ დარჩება ისევ ბერლინში. ბარბიუსი არჩეულია კავშირის პასუხისმგებელ მდივნათ.

სპარსული გაზეთი ჩიჩერინის განცხადების შესახებ

თეირანი, 7 ივლისი. სპარსული გაზეთი „სატტარე ირან“, ეხება რა ჩიჩერინის საუბარს ბირკენხედის განცხადებათა შესახებ, სწერს, რომ იმპერიალისტები თავისი მოქმედებით ჩინეთში საუკეთესო პროპაგანდას აწარმოებენ თავის წინააღმდეგ.

ჩინეთის ამბები

ჩინეთის საკითხი საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

არამკითხე მაცხოვრები

პარიზი. 7 ივლისი. დეპუტატთა პალატაში იხილავდენ კანონპროექტს ვაშინგტონის ორ კონვენციის რატიფიკაციის შესახებ. კონვენციები შეეხება ჩინეთს. ბრიანმა ხაზი გაუსვა, რომ ლაპარაკია ისეთ კონვენციის რატიფიკაციაზე, რომელიც უზრუნველჰყოფს ჩინეთის მთლიანობას და დამოუკიდებლობას და აგრეთვე იმ კონვენციაზე, რომელიც აძლევს ჩინეთის მთავრობას მნიშვნელოვან თანხებს. ბრიანმა, გარდა ამისა, იკისრა ვალდებულება მიიღოს ზომები ჩინეთის საკითხის შესახებ საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის დასაჩქარებლად.

ამხ. კაშენის გამოსვლა

შემდეგ დაიწყო კამათი შანხაიში მომხდარ ამბების შესახებ.

კომპარტიის სახელით, კაშენმა განაცხადა, ჩინეთის მოძრაობის ნამდვილ მიზეზს წარმოადგენს საერთაშორისო კაპიტალიზმის პოლიტიკა. „ჩინეთის ხალხი,—სთქვა კაშენმა,—მოითხოვს დამოუკიდებლობას და გასაკვირველი არ არის, რომ ჩინეთი პირს იბრუნებს საბჭოთა კავშირისაკენ, რომელიც პრაქტიკულად ახორციელებს ყველა ერების თავისუფლების პრინციპს. შეეხო რა სარატიფიკაციოთ წარმოდგენილ კონვენციებს, კაშენმა სთქვა, რომ თუ სახელმწიფოებს სურთ დაამტკიცონ, რომ მათ მართლაც სურთ დაიცვან ჩინეთის მთლიანობა და დამოუკიდებლობა, დეე დასცალონ მაშინ ჩინეთის ტერიტორია.

ბრიანის პასუხი

თავის პასუხში ბრიანმა ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთის კონცესიის ტერიტორიაზე შანხაიში მშვიდობიანობა არ ყოფილა დარღვეული.

ბრიანი იძულებული შეიქნა ეღიარებია, რომ ჩინეთის დღევანდელ ამბების ნამდვილ მიზეზს წარმოადგენენ სოციალური პირობები კერძოთ შრომის აუტანელი პირობები.

„ჩაჰკრათ ჩინელებს“

ლონდონი, 7 ივლისი. თემთა პალატაში კამათის დროს დეპუტატმა მონდმა, შეეხო რა ჩინეთის ამბებს, აღნიშნა, რომ ჩინეთში განწყობილება ინგლისის წინააღმდეგ დღითი-დღე მწვავდება და თუ უცხო სახელმწიფოები გამოიჩენენ სიმტკიცეს, მდგომარეობა უარესად სერიოზული გახდება. მონდი მოითხოვდა ინგლისის მთავრობის ენერგიულ მოქმედებას ჩინეთში.

უმუშევრობა ინგლისში

უმუშევრობა იზრდება

ლონდონი, 7 ივნისი. „რეიტერის“ სააგენტო იუწყება, რომ 29 ივნისს ინგლისში უმუშევართა რიცხვი უდრიდა 1.304.800 კაცს, ე. ი. 4.653 კაცით მეტი იყო, ვიდრე წინა კვირაში.

აფეთქება არსენალის რაიონში

წუხელ 11 ს. 20 წ. მოხდა აფეთქება არსენალის თოფის წამლის ერთ-ერთ საწყობში. აფეთქების ძალა იმდენათ ძლიერი იყო, რომ ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში ჩალეწილია ფანჯრების და ვიტრინების მინები. დაწვრილებით ხვალ.

უკანასკნელი ცნობები

საჰაერო მიმოსვლა სპარსეთში.

თეირანი, 7 ივლისი. სპარსეთის მთავრობამ მეჯლისში შეიტანა დასამტკიცებლად „იუნკერსის“ ფირმასთან დადებული შეთანხმება სპარსეთში საჰაერო მიმოსვლის მოწყობის შესახებ.

დოსერის საქმე

მოსკოვი, 8 ივლისი. შანხაიდან მიღებული ცნობებით, შერეულმა სასამართლომ მოხსნა დოსერის მიმართ ყველა ბრალდებები, გარდა ბრალდებისა პროპაგანდის წარმოებაში. სასამართლო დასთანხმდა აგრეთვე ყალბი დოკუმენტის მოხსნაზე საქმიდან, მაგრამ ჩინელ „მრჩეველის“ მოთხოვნით „დოკუმენტი“ დასტოვეს საქმეში.

დოსერის დამცველს ფიშერს ერთი კვირის ვადა მიეცა დოკუმენტის სიყალბის დასამტკიცებლათ.

დოსერი განთავისუფლებულია 30000 მან. გირაოს ქვეშ.

მუშათა სასპორტო ორგანიზაციების ერთიანი ფრონტი

მოსკოვი, 8 ივლისი. ლიუცერნის სასპორტო ინტერნაციონალმა წინადადებით მიმართა წითელ სასპორტო ინტერნაციონალს მოაწყოს მუშათა სასპორტო ორგანიზაციების ერთიანი ფრონტი კლასობრივი ბრძოლისა და ომის საფრთხესთან ბრძოლის ნიადაგზე.

ლიუცერნის სასპორტო ინტერნაციონალი, რომელსაც რეფორმისტები მეთაურობენ, აერთიანებს 11.5000.000 მუშა- -სპორტსმენს.

წითელმა სპორტინტერნმა დეპეშით აცნობა ლიუცერნის სპორტინტერნს, რომ ის გზავნის დელეგატებს მოლაპარაკების საწარმოებლათ.

საფრანგეთი იარაღდება

კრედიტი სახედრო გემების ასაგებათ

პარიზი, 7 ივლისი. სენატმა ერთხმად დაამტკიცა საკრედიტო პროექტი 1925 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა, რომელიც უნდა მოხმარდეს დაწყებულ სახედრო გემების მშენებლობას.

„ერის ორგანიზაცია ომიანობის დროს“.

პარიზი, 7 ივლისი. მთავრობამ პალატაში შეიტანა „ერის თავდასაცავ უმაღლეს საბჭოს“ მიერ შემუშავებული პროექტი ერის ორგანიზაციის შესახებ ომიანობის დროს.

ომი მაროკოში

პასუხი ბარბიუსის მანიფესტზე

პარიზი. 7 ივლისი. საფრანგეთის ინტელიგენციისადმი მიმართულ ბარბიუსის მანიფესტის საპასუხოთ—მემარჯვენე ინტელიგენტებმა მანიფესტით მიმართეს საფრანგეთის ჯარებს მაროკოში. ეს ჯგუფი გამოდის ომის დიდ მოხარჩლეთ და აცხადებს, „რომ საფრანგეთი იცავს თავის უფლებებს, ცივილიზაციას და მშვიდობიანობას“.

სიმართლეს შეაშინათ.

პარიზი. 7 ივლისი. დეპუტატთა პალატის სხდომაზე, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი ჩინეთის შესახებ სხდომის დასასრულს კომუნისტმა ჟაიან კუტიურიემ შეიტანა შეკითხვა მაროკოში მდგომარეობის შესახებ. მის გამოსვლას ხმაურობით შეხვდენ მემარჯვენეების სკამებიდან. მისი სიტყვის სტენოგრამა, პალატის თავმჯდომარის განკარგულებით, არ იქნება გამოქვეყნებული.

შეკითხვის განხილვა გადაიდო იმ დრომდე, როდესაც გამართული იქნება კამათი მაროკოს ომის საწარმოებლად კრედიტების გახსნის შესახებ.

მაროკოს ომის წინააღმდეგ.

პარიზი, 6 ივლისი. საფრანგეთის მუშათა მასები, განურჩევლად პარტიულობისა, სავსებით იწონებენ კომუნისტების პოზიციას მაროკოს ომის საკითხში.

სოციალისტური პარტიის მთელმა რიგმა ქვედა საფეხურის ორგანიზაციებისა მიიღო რეზოლიუცია ომის წინააღმდეგ.

პარიზი, 7 ივლისი. როგორც ჰავას საგენტო იტყობინება რაბატიდან, დიდი ბრძოლის შემდეგ საფრანგეთის ჯარებმა დაახევინეს უკან მაროკოელთა რაზმს, რომელიც ბარკაზას რაიონში საფრანგეთის მფრინავ რაზმს თავს დაესხა.

საბჭოთა კავშირის მუსლიმანთა პროტესტი მაროკოს ომის წინააღმდეგ

მოსკოვი. 5 ივლისი. ბაირამის დღესასწაულზე შეკრებილ 10,000 მოსკოველ მუსლიმანთა სახელით ამხ. ჩიჩერინმა მიიღო განცხადება, რომელშიც მუსლიმანები სასტიკ პროტესტს აცხადებენ ესპანელ და ფრანგ იმპერიალისტების მიერ მაროკოში ატეხილ ომის წინააღმდეგ. ისინი მეგობრულათ ესალმებიან თავგამოდებულ მებრძოლ რიფებს და მათ ბელადს—აბდ-ელ-ქერიმს. ამასთანავე ისინი გამოსთქვამენ რწმენას, რომ რიფების სამართლიანი ბრძოლა თანაგრძნობას გამოიწვევს ყველაში, ვისაც კი ძვირათ ულირს დაჩაგრულთა და უფლებაშელახულთა ინტერესები.

ასეთივე საპროტესტო განცხადება მიიღო ამხ. ჩიჩერინმა დონის-როსტოვის მუსლიმანებისაგან.

მენშევიკები სპეკულიანტების ხარჯზე



ჰუგო ჰაზე

ბერლინი, 7 ივლისი. ბარმატის საქმის გამოსარკვევად პრუსიის ლანდტაგის მიერ დანიშნულმა კომისიამ დაჰკითხა ბერლინის პოლიციის უფროსი სოც.-დემოკრატი რიხტერი.

ფიცის მიღების დროს რიხტერს გული წაუვიდა. შემდეგ დაკითხვა განაგრძეს ხალხის დაუსწრებლად. რიხტერმა აღიარა, რომ ბარმატისგან იღებდა ხშირათ ძვირფას ძღვენს. ბარმატის ხარჯზე ის უფასოთ სცხოვრობდა ფილა საავარაკოთ, უმოგზაურია ჰოლანდიაში. ხშირათ მიუღია ნაღდი ფულიც ან სხვადასხვა ფასიანი ქაღალდები.

ზოგჯერ რიხტერი თავის პარტიულ ამხანაგებსაც უნაწილებდა ბარმატისაგან მიღებულ ძღვენს, სხვათა შორის—შაიდმანსაც. ამ განცხადებამ დიდი ალიაქოთი გამოიწვია, რადგან შაიდმანმა დაიფიცა, რომ მას ბარმატისაგან არ მიუღია ქრთამი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ჩეჩნეთი

გროზნოს სამრეწველოების 14 მუშის დაჯილდოება წითელი დროშის ორდენით.

მოსკოვი, 8 ივლისი. ადგილობრივ საბჭოების და პარტიული ორგანიზაციების შუამდგომლობით საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა გროზნოს სამრეწველოების 14 მუშა.

პირველი მომგებიანი სესხის გათამაშება

ვინ მოიგო 100.000 მანეთი

მოსკოვი, 8 ივლისი. დამთავრდა პირველი მომგებიანი სესხის გათამაშება.

100.000 მანეთიანი მოგება შეხვდა ობლიგაციას—სერია პირველი № 847206.

50.000 მანეთიანი მოგება მე-8-ე სერიის ობლიგაციას № 1347403.

25.000 მანეთი მოგება: მე-3-ე სერიის ობლიგაციის № 256162 და მე-9-ე სერიის ობლიგ. № 58737.

გაფრენა მოსკოვი—პეკინი

ურგადან გაფრენა გადადებულია

ურგა. 8 ივლისი. უამინდობისა და მოძრავი ბაზის მოტანის დაგვიანების გამო, გაფრენა ურგადან გადადებულია.

ბანკეტი ექსპედიციის საპატივსაცემოდ

ურგა, 8 ივლისი. შესდგა საზეიმო ბანკეტი, მოწყობილი მონგოლეთის მთავრობის მიერ, მოსკოვ-ჩინეთის საჰაერო ექსპედიციის საპატივსაცემოდ. წარმოთქმული იქნა სიტყვები პრემიერ მინისტრის ცერენ დორჯის, სარევოლიუციო სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის რინჩინის, მთავარსარდლის შაბადსანის და მონგოლეთის ახალგაზრდობის კავშირის ცეკას თავმჯდომარის დჟანდამბას მიერ.

სახელმწიფო კრედიტის აღდგენა

მშრომელი მასების დახმარებით სახელმწიფო კრედიტი აღდგენილი იქნება.

მოსკოვი. 8 ივლისი. 7 ივლისს, საღამოს სვერდლოვის მოედანზე შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი ფინანსიურ გაჯანსაღების შესახებ. მიტინგი გახსნა ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილემ ბრიუხანოვმა.

ამხ. ბრიუხანოვის სიტყვა.

„ჩვენს სესხებს,—სთქვა ბრიუხანოვმა,—აქვს ერთი მიზანი—აამაღლოს, გააუმჯობესოს მეურნეობა და მუშების მდგომარეობა. როცა მივმართავთ მცხოვრებთ თხოვნით, მხარი დაუჭირონ სახელმწიფოს შინაურ სესხებს, ჩვენ არ მოვითხოვთ მატერიალურ მსხვერპლს. სახელმწიფო სესხის ობლიგაციები არიან ფასიანი შემოსავლიანი ქაღალდები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მათი თავისუფალი თანხების შენახვას.

ბრიუხანოვი აღნიშნავს კრედიტის საერთაშორისო მნიშვნელობას. საბჭოთა კავშირი ამით დაუმტკიცებს ბურჟუაზიას, რომ მათი ფინანსიური ბლოკადა მას ვერაფერს დააკლებს.

ამხ. დმიტროვის სიტყვა

ბულგარეთის კომპარტიის ც. კ. წევრს დმიტროვს შეხვდენ ხანგრძლივი ოვაციესით.

დმიტროვი ახასიათებს მუშების მძიმე მდგომარეობას კაპიტალისტურ სახელმწიფოებში და მოუწოდებს საბჭოთა კავშირის მშრომელებს აშენონ სახელმწიფო არა მარტო დაზგით და კავით, არამედ გააძლიერონ ის საბანკო კრედიტის მოწყობით ქვეყნის შიგნით.

გლეხ ამხ. სამარსკის სიტყვა

მოსკოვის მაზრის, სოფელ ლავრუშინის გლეხმა სამარსკიმ სთქვა გლეხებმა უკვე შეიგნეს გაჯანსაღებული ფინანსების მნიშვნელობა. გლეხობამ თავის თავზე გადაიტანა წარსული წლების ფინანსიური მოუწესრიგებლობის მძიმე შედეგები. ამიტომ გლეხობა ყოველივე ღონეს იხმარს, რომ ფინანსები კიდევ უფრო გაჯანსაღდეს“.

„საზღვარგარეთ მემამულეებს ფინანსიურ დახმარებისათვის ჩვენ არ მივმართავთ.—ამბობს სამარსკი,—ჩვენ თვითონ აღვადგენთ ჩვენ ფინანსიურ მეურნეობას, ვინაიდან ჩვენ არავის იმედი არა გვაქვს. ჩვენ გლეხები დავანახვებთ ქვეყანას, რომ ჩვენი დახმარებით საბჭოთა სახელმწიფო ფინანსიურად გაძლიერდა. ახლო მომავალში საბჭოთა კავშირის კრედიტი აღდგენილი იქნება უცხოელი მემამულეების და კაპიტალის სურვილის წინააღმდეგ.

ამხ. ბრიუხანოვის საბოლოო სიტყვა

საბოლოო სიტყვაში ბრიუხანოვი ამბობს: „საბჭოთა კავშირის მუშამოსამსახურეებმა და გლეხებმა იციან, რომ საბჭოთა მთავრობა ძლიერია მით, რომ ახორციელებს კავშირს სოფლისა და ქალაქის მშრომელებისას. საბჭოთა კავშირის მშრომელები ერთი ინტერესით გამსჭვალულნი, ეტყვიან კაპიტალისტებს, რომლებიც ლამობენ ჩვენს გასრესას ფინანსიური ბლოკადით: „ხელები შორს. ჩვენ ვიცით არა მარტო რევოლიუციის მოხდენა, არამედ სახელმწიფოს ახალი ცხოვრების მოწყობაც. მუშები და გლეხები ხელს შეუწყობენ საბჭოთა მთავრობას იმ მიზნეის მიღწევაში, რომლებიც მიგვიყვანებენ მთელი ქვეყნის კეთილდღეობამდე“.

საგლეხო სესხის განმეორებით განაღდებისათვის

მოსკოვი, 8 ივლისი. რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა ადგილებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც წინადადებას აძლევს მათ მიზანშეწონილად გამოიყენონ საშუალებანი კავშირის მრავალ მილიონიან მცხოვრებთა წვრილ ანაბარების სახით, ცირკულიარში ნათქვამია: „შინაურ სახელმწიფოებრივ კრედიტის განსავითარებლად ფრიად საჭიროა რათა გლეხობა შეეჩვიოს ფასიან ქაღალდების შეძენას ამიტომ გლეხთა სესხის განმეორებითი რეალიზაციისათვის მიმდინარე წელს საჭიროა დაუახლოვდეს გლეხთა სესხის ობლიგაციები სოფელს და დაჩქარდეს იქ მათი რეალიზაცია. შემდეგ შეღავათების დიდი ნაწილი [illegible] გლეხობას იმ მიზნით, რათა ამან ხელი შეუწყოს სესხის ობლიგაციების დაგროვებას მეპატრონეთა ხელში, გადაჭრით იქნას უარყოფილი გლეხთა სესხის იძულებითი გავრცელება“.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

მოსავლის აღება

თელავი, 8 ივლისი. ბოლო დღეებში წვიმა აღარ არის, გლეხობა სასწრაფოდ შეუდგა ყანების თიბვასა და ლეწვას. მუშაობენ მთვარიან ღამეებშიც, რადგან პური ძალიან შემოვიდა. მუშა ხელი საკმარისი არ არის. მუშის დღიურმა ფასმა აღწია 5 მანეთამდე. მთელ მაზრაში მუშაობს მხოლოდ 3 სალეწი მანქანა.

ზარალი სეტყვისაგან

თელავი, 8 ივლისი. გამოირკვა, რომ წინანდალის რაიონში სეტყვისაგან მიყენებულია ზარალი რამდენიმე ათი ათასი მანეთისა.

ღვინის გასაღების კრიზისი

თელავი, 8 ივლისი. ღვინის გასაღებაში დიდი კრიზისი დადგა. გლეხებმა აღარ იციან, სად წაიღონ ღვინო, რომლის ფასიც დაეცა 40 პროცენტით.

აფხაზეთი

ალმშენებლობითი გეგმა

სოხუმი, 6 ივლისი. კოდორის კომუნურნეობის აღმასკომმა გადასწყვიტა ააგოს გლეხის სასახლე, სასტუმრო, აბანო, სასაკლაო. შეაკეთოს სკოლები, მოკირწყლოს ქუჩები და სხვა. საამისოდ სახ. კომისართა საბჭოდან მოთხოვნილია 89.438 მან.

ეზუგბაიას მკვლელების საქმე

სოხუმი, 6 ივლისი. გაირჩა სასამართლოს აღმასრულებელის ეზუგბაიას მკვლელობის საქმე. ბრალი ედებოდათ ბისტროვს და მის ცოლს, მილიციონერ წულუკიძეს და სკორიკოვს. მკვლელობის მიზეზი იყო გაძარცვა. ბისტროვსა და წულუკიძეს მიესაჯა დახვრეტა. ბისტროვის ცოლს 5 წ. საპყრობილე. სკორიკოვს 3 წ. პირობითი დაპატიმრება.

აჭარისტანი

ქობულეთის ჭაობების დაშრობა.

ბათომი, 7 ივლისი. ამ დღეებში ქობულეთის მაზრაში, აჭარისტანის მიწად-მოქმედების კომისარიატი შეუდგება ჭაობების დაშრობის მუშაობას. სამუშაოზე გაიგზავნება დაახლოებით 300 უმუშევარი.

ქვაბის აფეთქება.

ბათომი, 7 ივლისი. 7 ივლისს აჭარისტანის ცინკის ქარხანაში გამოურკვეველ მიზეზების გამო, აფეთქდა ქვაბი გამდნარი ცინკით. დაშავდა სამი მუშა.

14 პროც. მეტი.

ბათომი, 7 ივლისი. გაფართოებულია ბაიონის განყოფილება ქიმიური ქარხნისა. ამის გამო, უკანასკნელ თვეში შრომის ნაყოფიერებამ იმატა 14 პროცენტით.

ადერბეიჯანი

ნახიჩევანის მხარე

ბამბის საწმენდი ქარხნის გახსნა

ნახიჩევანი, 6 ივლისი. 5 ივლისს ადერბეიჯანისა და ნახიჩევანის ხელისუფლების წარმომადგენელთა თანადასწრებით ნარაშენში მოხდა ბამბის საწმენდი ქარხნის გახსნა. ქარხანა მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის თანახმად. ქარხანას დღე-ღამეში შეუძლია გაატაროს 3.500 ფ. ბამბა. იქვე მოწყობილია ელექტრო-სადგური, რომელიც ანათებს აგრეთვე სად. ნარაშენსაც. ქარხანას დაერქვა იბრაგიმ აბილოვის სახელი.

ხონის საბჭოთა აბანოს გახსნა

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარულ-ეპიდიმიოლოგიური განყოფილება საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მნიშვნელოვან ცენტრებში აგებს გამტარებელი ტიპის სანიტარულ აბანოებს ჰელიოსის სისტემის.

განყოფილებამ მცხოვრებლებს—უკვე აუშენა და მოუწყო თავის ხარჯზე აბანოები შემდეგ ალაგებში: ლიუქსემბურგში, თელავში, ქარელში, თბილისში, (გლეხის ცენტრ. სახლთან), ხონში და ცხინვალში, სადაც ამ დღეებში დამთავრდება. აბანოების აშენება-მოწყობას მოსახლეობა დიდის ინტერესით, ხალისით და კმაყოფილებით ხვდება.

ამ ორი დღის წინად ხონში დამთავრდა ერთი ასეთი აბანოს აშენება-მოწყობა. აბანო არის ჰელიოსის სისტემით აგებული გამტარებელი ტიპისა—სადეზინფექციო კამერით. აბანოს აქვს საერთო განყოფილება, საქვაბე ოთახი, საორთქლე, გასახდელი და ჩასაცმელი განყოფილება. აბანოს გამტარებლობა საათში უდრის 10 კაცს. ასე რომ აბანოს შეუძლია დღეში გაატაროს 100 მეტი კაცი. საერთო საბანაო განყოფილების გარდა, აბანოს აქვს ერთი ნომერი კერძო მსურველთათვის. აბანო ყოველმხრივ მოწყობილია აბანოს აშენება და მოწყობა დაჯდა 3000 მანეთამდე. გლეხობისათვის საბანაო ქირათ დაწესებულია თითო სულზე ერთი აბაზი.

7 ივლისს მოხდა აბანოს ოფიციალური გახსნა. ხონის მუშათა და გლეხთა საბჭომ ჯანმრთელობის სახალხო კომისარს შემდეგი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნა: „ხონის მუშათა და გლეხთა საბჭომ მოისმინა რა მოხსენება საბჭოთა ალმშენებლობის—სახელდობრ ხონის საბჭოთა აბანოს დამთავრების შესახებ, საბჭო გამოსთქვამს, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მშრომელმა გლეხობამ თავისუფლად მიჰყო ხელი თავის ალმშენებლობას და ის ამ დარგში წარმატებით ამთავრებს მუშაობას გლეხობისათვის ყველაზე უსაჭიროეს და აუცილებელ წამოწყებებს. სიტყვა საქმეთ არის ქმნილი და ამის ერთი ნიმუშთაგანი არის ხონის საბჭოთა აბანო. ჩვენ—მუშათა და გლეხთა საბჭოს წევრები აღმასკომის შემადგენლობით მხურვალეთ მოგესალმებით, როგორც ამ დარგში უშუალო მონაწილეს და გიძღვნით ულრმეს მუშურ-გლეხურ მადლობას ხონის და მისი რაიონის მშრომელ გლეხობის სახელით და გისურვებთ, რომ მომავალშიაც არ დაგვივიწყებოდეთ სოფლის მშრომელი გლეხკაცობა და ლოზუნგი—„პირი სოფლისაკენ“, სავაებით გაგვეტარებინოთ ცხოვრებაში“.

პარიტეტულ კონტრ-რევოლიუციის გასამართლება

პარიტეტულ კონტრ-რევოლიუციის მუშაობა

მენშევიკების კავშირი უცხოელ და შინაურ კონტრ-რევოლიუციონერებთან.

შეიარაღებული გამოსვლის საკითხი პარიტეტულ კომიტეტში დაისვა 1924 წლის ივლისში. თვით გამოსვლებამდე პარიტეტულ კომიტეტს ჰქონდა სამი სხდომა, რომლებზედაც განხილული იქნა აჯანყების გეგმა და შეიარაღებული ძალების რაოდენობა ცალკე რაიონებში.

აჯანყების ვადის დანიშვნა დააჩქარა ვალიკო ჯუღელის დაპატიმრებამ, რადგან პარიტეტულ კომიტეტს ეშინოდა, რომ მისი დაპატიმრების შემდეგ საქმე ჩაიშლებოდა და ამიტომ გასდაწყვიტა გამოსულიყო, რათაც არ უნდა დასჯდომოდა. შეიარაღებული გამოსვლის საკითხი დადებითად გადაწყვეტილი იქნა აგრეთვე ცალკე პარტიების ცენტრალურ კომიტეტებშიც.

აჯანყების წინა დღეს შეიარაღებული გამოსვლების ხელმძღვანელები კოტე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი, მიხეილ ბოჭორიშვილი, დავით ონიაშვილი და შალვა ამირაჯიბი გაემგზავრენ შიო-მღვიმის ტყეში, სადაც შეხვდენ ქაქუცა ჩოლოყაშვილს, რომელსაც მისცეს დირექტივა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ემოქმედა.

პარიტეტული კომიტეტის მოღვაწეობის ისტორიაში საინტერესოა ის, თუ ვისი იმედით ამზადებდა იგი აჯანყებას საქართველოში.

ქართველ კონტრ-რევოლიუციონერებს უცხოეთში კავშირი ჰქონდათ საფრანგეთის და ინგლისის მთავრობებთან, რომლებიც მათ დაპირდენ დახმარებას ფულით და იარაღით იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში აჯანყება დაიწყებოდა.

ამას გარდა ანტისაბჭოთა პარტიების საზღვარგარეთელი ბიურო სცდილობდა კავშირი გაება ქემალ-ფაშას მთავრობასთან. ადგილობრივი მენშევიკები, საზღვარგარეთელი ბიუროს ინფორმაციის თანახმათ, დარწმუნებული იყვენ, რომ გამოსვლების დროს ოსმალეთის მთავრობა მიიღებდა ყველა ზომებს, რომ დახმარებოდა მეამბოხეებს.

აჯახყებისათვის უფრო მასიური ხასიათის მიცემის მიზნით, პარიტეტულმა კომიტეტმა, ნოე ჟორდანიას სადირექტივო წერილის თანახმათ, გადაწყვიტა მჭიდრო კავშირი დაეჭირა მეზობელ რესპუბლიკების კონტრ რევოლიუციონურ ძალებთან—დაშნაკებთან, მუსავატელებთან და საჩეჩნოს და დაღესტანის კონტრ-რევოლიუციონერებთან.

დაშნაკებთან მოლაპარაკებამ არ გამოიღო სასურველი ნაყოფი, რადგან მათ უარი სთქვეს აჯანყებაში მონაწილეობაზე. მუსავატელებთან მოლაპარაკებას პარიტეტული კომიტეტის სახელით აწარმოებდა ივტიხი სალუქვაძე. მან ბაქოში გაიცნო მუსავატელების ცეკას რწმუნებული ალა-ალი იუსუფ-ზადე, რომელიც შემდეგ მოიწვია თბილისში გოგიტა ფაღავასთან და ხომერიკთან მოსალაპარაკებლათ.

ეს მოლაპარაკებაც უნაყოფოთ დამთავრდა, რადგან 1923 წლის ნოემბერში და 1924 წლის თებერვალში დაპატიმრებული იქნენ ხომერიკი, სალუქვაძე, ალა-ალი-იუსუფ-ზადე, ბოლოს, ფაღავა.

ჩრდილოეთ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციონერებთან პირველათ მოლაპარაკება დაიწყო ჩოლოყაშვილმა. მოლაპარაკება სწარმოებდა ქისტების ხოჯასთან—ალი მითაევთან. ეს მოლაპარაკება შემდეგ სხვადასხვა დროს გააგრძელეს წინამძღვრიშვილმა, ლეო დგებუაძემ, მიხეილ იშხნელმა და სხვებმა.

ალი მითაევის გარდა მოლაპარაკება სწარმოებდა აგრეთვე ათაბაი უმაევთან. მასთან შეთანხმებით, ქისტების შეიარაღებული რაზმი თუშურ სოფლებზე გამოვლით უნდა გადმოსულიყო კახეთში და აქ უნდა შეერთებოდა აჯანყებულებს, მაგრამ ამ გეგმის განხორციელებას ხელი შეუშალეს თუშებმა, რომლებმაც არ მოისურვეს ქისტების თავის სოფლებზე გატარება, რადგან ეშინოდათ დარბევის და გაძარცვის.

დიდხანს მუშაობდენ ჩოლოყაშვილი და უმაევი თუშების სოფლებში, მაგრამ მათმა აგიტაციამ ვერ გასტეხა თუშების სიმტკიცე.

ალი მითაევის დაპატიმრების შემდეგ პარიტეტული კომიტეტის რწმუნებულებმა ივანე ავალიშვილმა, ვლადიმერ ბერიძემ და ნიკოლოზ ნაკაშიძემ სცადეს მოლაპარაკების დაწყება ვინმე ზაურბეკ ახუშკოვთან, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს.

ამის შემდეგ იწყება აგვისტოს აჯანყება, რომელსაც, როგორც ვიცით, ჩრდილოეთ კავკასია სრულებით არ გამოხმაურებია.

ბრალდებულები

ხარიტონ ლაშხია.

32 წლისა, გლეხი ზუგდიდის მაზრის სოფ. ახალ-ხიბულიდან, ცხოვრობდა ახალ-სენაკში, საშუალო განათლებით, ყოფილი ოფიცერი მეფის არმიისა, პროფესიით აგრონომი, ოჯახიანი. საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ დაპატიმრებული იყო ორჯერ. ს.-დ. მ. პ. (მენშევიკების) წევრი 1915 წ. ლიდან. ცხოვრობდა არალეგალურად.



კირილე ნინიძე

44 წლისა, გლეხი ოზურგეთის მაზრის სოფ. ასკანიდან, უმაღლესი განათლებით, პროფესიით ვექილი, ოჯახიანი, მეფის დროს სამართალში იყო მიცემული, ს.-დ. მ. პ. (მენშევიკების) პარტიის წევრი 1903 წლიდან, 1920 წლიდან „სხიველი“, ყოფილი წევრი დამფუძნებელი კრებისა, სცხოვრობდა ლეგალურად, „სხიველების“ ც. კ. წევრი.



სამსონ დადიანი

34 წლისა, თავადი ზუგდიდის მაზრის სოფ. მუხურიდან, უმაღლესი განათლებით, ვექილი იურისტი, სოც.-ფედერალისტთა პარტიის წევრი 1914 წლიდან, მეფის დროს სდევნიდენ, ყოფილი წევრი დამფუძნებელი კრებისა, დაპატიმრებული იყო ორჯერ საქ. საგანგებო კომისიის მიერ, სცხოვრობდა ლეგალურად, კომუნალური ბანკის იურისტკონსულტი, საქართველოს სოც. ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი.



მიხეილ იშხნელი

37 წლისა, აზნაური გორის მა რის სოფ. არადეთიდან, უმაღლეს განათლებით, პროფესიით ექიმ ცოლიანი, სამართალში არ ყოფილ მიცემული, სოციალისტ-ფედერა ლისტთა პარტიის წევრი 190 წლიდან 1917 წლამდე. 1917 წლი დან საქ. ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის წევრი.

აპოლონ ბახტაძე

28 წლისა, სასულიერო წოდები საშუალო განათლებით, სამხედრ პირი, უცოლო, ესერების პარტი წევრი 1916 წლიდან, 1921 წ. 192 წლამდე იყო მემარცხენე ესერებ ორგანიზაციაში. სცხოვრობდა არ ლეგალურად. საქ. სახ. კომისარი ტის ქართული არქივის გამგის თ ნაშემწე



[illegible]

47 წლისა, აზნაური ქუთაისის მაზ რის სოფ. ეწერიდან, დაბალი გან თლებით, პროფესიით მკაზმავი, ოჯა ხიანი, მეფის დროს სამართალშ იყო მიცემული პოლიტ. საქმეებ სათვის, ს.-დ. მ. პ. (მენშევიკებ წევრი 1900 წლიდან, ყოფ. წევრ სახალხო გვარდიის შტაბისა, სცხოვ რობდა არალეგალურად.

პარტიული ცხოვრება

ავიაციის დღისათვის

საქართველოს კომპარტიის ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

12—14 ივლისს საზოგადოება „ავიაქიმი“ ჩაატარებს ავიაციის და ქიმიის სამდღიურს. საავიაციო და ქიმიურ მრეწველობის განმტკიცება და განვითარება წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვან ამოცანას. ამიტომ ამ სამდღიურის ჩატარებას უნდა მიექცეს პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციების მთელი ყურადღება.

ამ სამდღიურის ჩატარების გეგმას შეიმუშავებს და გამოაქვეყნებს „ავიაქიმი“-ს საზოგადოების პრეზიდიუმი.

პარტიულ კომიტეტს წინადადება ეძლევათ ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ „ავიაქიმი“-ს სამაზრო და სარაიონო საბჭოებს სამდღიურის ჩატარებაში.

საქ. კომპარტიის ცეკას მდივანი—ოკუჯავა.

სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილების გამგე—ბახტაძე

პარტმუშაობა ლეჩხუმის მაზრაში

ლეჩხუმის ორგანიზაცია იკრებს 5 რაიონულ კომიტეტს 28 სოფლის კომუჯრედით, რომლებიც თავის გარშემო აერთიანებენ პარტიის 287 წევრს და 39 კანდიდატს.

ხსენებულ მაზრაში არის ისეთი უჯრედები, სადაც სწარმოებს გეგმიანი მუშაობა და ამ მუშაობის ნაყოფიც მეტად საგრძნობია. ასეთი უჯრედთა რიცხვს ეკუთვნიან: ქალაქის ორგანიზაციის უჯრედი, ლასურიაშის, ორბელის, ჰყვიშის, ალპანის, ოყურეშის და სხ დანარჩენ სოფლის კომუჯრედებში კი მუშაობა მოისუსტებს, რადგანაც მათ ხშირად არ აქვთ გამომუშავებული თავიანთი სამუშაო გეგმა და უმაღლეს ორგანიზაციის შემყურენი რჩებიან.

ცხადია, ასეთ პირობებში შეუძლებელი ხდება უპარტიო გლეხობის დაინტერესება და მათი მიზიდვა უჯრედების ღია სხდომებზე. ამ მხრივ აუცილებელია, რომ ახლო მომავალში სამაზრო კომიტეტის მიერ აღებულ იქნეს სწორი კურსი, რომე იც შეფარდებული იქნება ჩვენი პარტიის საერთო ტაქტიკასთან.

აქ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მაზრა განიცდის მომზადებულ ამხანაგების ნაკლებობას, ის ამხანაგები კი, რომლებიც იგზავნებოდენ ცენტრიდან, ამათში ზოგიერთნი ვერ ეგუებოდენ ადგილობრივ მძიმე სამუშაო პირობებს. ამ ნიადაგზე ამხანაგები სტოვებდენ მაზრას და ბრუნდებოდენ ისევ უკან. ამაში, რასაკვირველია, მაზრკომსაც მიუძღვის ცოტაოდენი ბრალი. ისინი, რომლებიც 3—4 წლის განმავლობაში მუდმივათ მუშაობენ ლეჩხუმში, უფრო გაცნობილნი არიან ადგილობრივ პირობებს და ამისათვის მათ ყოველმხრივ უნდა ეცადონ, რომ ხელი შეუწყონ ცენტრიდან ჩამოსულ ამხანაგებს, გააცნონ მათ ადგილობრივად სამუშაო პირობები და ის თუ რა სამუშაოები იქნება შეუსრულებელი წარსულში და სხვ.

რაც შეეხება რაიკომების მუშაობას, ამ უკანასკნელ ხანებში მათი მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. უმთავრესად აქ აღსანიშნავია ის, რომ კავშირი და ხელმძღვანელობა უჯრედებზე—სათანადო სიმაღლეზე სდგას.

მუშაობა სააგიტაციო-საპროპაგანდო დარგში.

მაზრაში ტარდება კამპანიები ცეკას დირექტივების მიხედვით. ჩატარებულ კამპანიებს შორის ყველაზე უფრო აღსანიშნავია საბჭოთა არჩევნების, გლეხკომების, მთოიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის, საადგილმამულო საკითხის, კოოპერაციის შესახებ და სხ.

პოლიტ-განმანათლებელი მუშაობა გასულ წელს ძალიან სუსტად მიმდინარეობდა, ორგანიზაციაში პოლიტიკურ უცოდინართა რიცხვი 8 პროც. აღწევდა. არ არსებობს არც ერთი წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლა. წელს ამ მხრივ საგრძნობი მიღწევები გვაქვს: დაარსებული იქნა მოზრდილთათვის 6 სალიკ. სკოლა, სადაც დაახლოებით 2000-დე კაცი მეცადინეობს, აქედან სკოლა დაამთავრეს 1300 - დე კაცმა.

მაზრაში არსებობს 15 ქოხ-სამკითხველო, 4 რაიონული ბიბლიოთეკა. სამწუხაროდ, როცა შედიხა ამ ბიბლიოთეკებში, იშვიათად თუ დაინახავთ თანამედროვე რევოლიუ ციონური შინაარსის წიგნებს, რა საც ეხლავე უნდა მიაქციოს ყურად ღება პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველომ.

ქ. პატარაია.

სოფლად პარტიული მუშაობის ერთი ნაკლოვანების გამო

სოფლად პარტიული მუშაობის გასაძლიერებლად და სოფლის კომუჯრედსა და გლეხური აქტივს შორის მჭიდრო კავშირის დასამყარებლად, ღია პარტიულ კრებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ ღია პარტიული სხდომები მხოლოდ მაშინ შეასრულებენ უკეთ თავის დანიშნულებას, თუ დაცული იქნება წინასწარი პირობების მთელი რიგი.

ხშირია შემთხვევა, როცა პარტიული კრებები სოფლად იმართება საჩქაროთ. შემთხვევით და გარკვეული გეგმის გარეშე. ცხადია, ასეთ პირობებში უპარტიო მასას არ ექნება საშუალება სხდომებს დაესწროს, რადგან ხშირად თვით პარტიის წევრებმაც კი არა იციან რა კრებების დანიშვნის შესახებ.

ამავე დროს ზოგ ადგილას ბინაც არ არის გარკვეული, თუ სად იქნება კრება მოწვეული უნდა უფრო ხშირად კრება დანიშნულია არა სოფლის შუა ადგილას, არამედ ერთ რომელიმე განაპირა კუთხეში, რაც, ცხადია, ხელს უშლის დიდი ნაწილის კრებაზე დასწრებას.

აღსანიშნავია ერთი წვრილმანიც, რაიც საკმაო ხელის შემშლელია სოფლად პარტიული მუშაობის ჯეროვან სიმაღლეზე დასაყენებლად. უპარტიო მასამ მეტწილად არაფერი იცის იმ კითხვების შესახებ, რომელიც გარჩეული იქნება სხდომაზე. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ჩვენ ვერ შევსძლებთ სოფლის აქტივის ჩაბმას პარტიულ მუშაობაში. მეორე, სხდომა თითქმის ყოველთვის დაგვიანებით იხსნება და გლეხს უხდება მთელი საათები უქმად დაკარგოს. ამავე დროს სოფლის მუშაობის თავისებური პირობების გამო, გლეხს ყოველთვის მოეპოვება შინ რაიმე გასაკეთებელი. ჩვენი მოვალეობაა რაც შეიძლება ნაკლებათ დავაკარგვინოთ უნაყოფოთ დრო და შევეცადოთ სხდომები იხსნებოდეს დანიშნულ დროზე.

განსაკუთრებული ყურადღება მა თებთ სოფლის უჯრედებს ღია სხდო მებზე კითხვების შერჩევით წამოყ ნებაში. ერთხელ და სამუდამოთ უ და შევიგნოთ, რომ გლეხობას ნა ლებათ აინტერესებს ზოგადი საკით ხები—იგი დაინტერესებულია პრა ტიკული საკითხებით, სოფლის კუ ტურული და სამეურნეო აღორძინ ბის შესახებ. ეს გარემოება არ უნ იყოს დავიწყებული, რადგან ასეთ საკითხები დიდათ ხელს შეუწყო გლეხობის აქტიური მონაწილეობ მიღებას საკითხების გარკვევაში ამდენად ჩვენ თანდათან შევსძლებ გლეხობის პარტიული მუშაობაში ბმას.

დიდი ყურადღება უნდა მიექც აგრეთვე შესაფერის მომხსენებლებ შერჩევას, რადგან დღეს უფრო მ ტად, ვინემ ოდესმე, გლეხობა მო თხოვს საქმიანი, სერიოზული, ფა ტიური მასალებით აღჭურვილ მო სენებას, რომელმაც ერთის მხრ უნდა ახსნას სოფლის ცხოვრების ყ ლანდელი მდგომარეობის მიზეზე და ნათლად დაისახოს ის ღონისძი ბანი, რომლითაც ჩვენ ეფიქრობ გლეხობის ცხოვრების პირობების უმჯობესობას.

ასე რომ, პრაქტიკული ღონისძი ბებით სოფლად პარტიული მუშა ბის გასაძლიერებლად უნდა ჩაითვ ლოს: კრებების მოწვევის დღეებ გარკვევა, სხდომებზე დასმული კი ხვების წინასწარ ადრე გაცნობა მ სახლეობისათვის, სხდომების თა დროზე გახსნა, შესაფერისი მომხს ნებლების არჩევა და სათანადოთ მუშავებული მოხსენების გამართ და, რაც უმთავრესია, მიღებულ დ დგენილებათა ცხოვრებაში გატა ებისათვის ხელის შეწყობა.

ყველა ამ ღონისძიებათა დ ხელს შეუწყობს ჩვენი ღია პარტ ლი კრებების უფრო ნაყოფიერ მ შაობის წარმოებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა აჭარისტანში

ელსადგურის და ქედის ხიდის გახსნა

ბათომი, 8 ივლისი. 7 ივლისს ზეიმით გაიხსნა მახუნცეთის ელექტრონის სადგური და ქედის დიდი ხიდი. ზეიმში მონაწილეობა მიიღეს სახ. კომისართა საბჭოს, ცაკის წარმომადგენლებმა, მუშებმა, გლეხებმა, პარტკომის და პროფორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

მიტინგზე გამოცხადდნენ მახლობელ სოფლების გლეხები. ზეიმს ჰქონდა ნამდვილ ხალხური დღესასწაულის ხასიათი. ზეიმი საღამომდე გაგრძელდა.

მისალმება აჭარისტანის მშრომელთ

აჭარისტანში 6 ივნ· ქედის, ხიდისა დალელვას გზის გახსნის გამო ამხ. ამხ. ს. ორჯონიკიძემ, შალვა ელიავამ, ლ. ქართველიშვილმა და მ. კახიანმა აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. თაჰსინ ხიმშიაშვილს შემდეგი დეპეშები გაუგზავნეს:

ბათომი, სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ხიმშიაშვილს

მოულოდნელი და გადაუდებელი საქმეების გამო არ შეგვეძლო პირადათ დავესწროთ ხიდისა და გზების გახსნის ზეიმს. გთხოვთ გადასცეთ აჭარისტანის მშრომელ ხალხს ჩვენი მხურვალე მილოცვა. ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა აჭარისტანის აღმშენებლობითი მუშაობა დიდის წარმატებით წავა წინ და ახლო მომავალში აჭარისტანის მშრომელნი საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით შესძლებენ მრავალი ხიდების აგებას და გზების ქსელის გაათკეცებას. გაუმარჯოს აჭარისტანის მშრომელ ხალხს, გაუმარჯოს აჭარისტანის საბჭოთა მთავრობას.

ორჯონიკიძე. ელიავა.

ბათომი, სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ხიმშიაშვილს, ასლი პარტკომის მდივანს ქლენტს

საქართველოს კომპარტიის ცეკა ძმურ სალამს უძღვნის აჭარისტანის მშრომელთ ხიდისა და გზების გახსნის გამო. აჭარისტანის მშრომელი ხალხის ზეიმი არის საქართველოს მთელი მშრომელი ხალხის ზეიმიც. შრომის ამ ფრონტზე გამარჯვება არის საბჭოთა აღმშენებლობის ახლო მომავლის უდიდესი წარმატების დასაწყისი. ცეკა დარწმუნებულია, რომ ბათომის პროლეტარიატი მტკიცე კავშირს შეკრავს აჭარისტანის ფუხარა ხალხთან და მასთან ხელჩაკიდებული გაიკაფავს გზას სოციალიზმისაკენ. გაუმარჯოს აჭარისტანის ფუხარა ხალხს. გაუმარჯოს აჭარისტანის საბჭოთა მთავრობას.

ქართველიშვილი, კახიანი.

ბათომის მშრომელთა ზეიმი

4 ივლისს ბათომში დიდი ზეიმით გაიხსნა აჭარპრომტორგის ბიდონის ქარხანა (ყოფ. მანთაშევის). ზეიმი და სიხარული, რომელიც გამოიწვია ქარხნის გახსნამ ბათომის [illegible], დიდია. ალტაცებით მიადგ[illegible]ნებს ბიდონის მკეთებლები, რომელთაც ოცი წელი უმუშავიათ ამ საქმეზე. მათი მღელვარება ადვილი გასაგებია, თუ მოვიგონებთ, რომ უკვე ათი წელია, რაც მათი ხელები მანქანების, ქურის საწყების მაგიერ თოხით იკოჟრებოდა.

ომამდე ბაქოს ნავთის ექსპორტში ბათომს დიდი ადგილი ეჭირა. მთელი მცირე აზია, არაბისტანი, ეგვიპტე, სირია, ბალკანეთის სახელმწიფოები, მთელი ახლო აღმოსავლეთი ბიდონებით ღებულობდა ბაქოს ნავთს ბათომიდან. თუ საფრანგეთისა, იტალიის და ცენტრალ ევროპის სხვა სახელმწიფოებისათვის უფრო ხელსაყრელია ნავთის ჩასხმით (НАЛИВНОЙ) გაზიდვა. მახლობელი ქვეყნებით მხოლოდ ბიდონში ჩასხმულ ნავთს ხმარობენ. ბიდონის მრეწველობის ცენტრი კი ბათომი იყო. მთელ საბჭოთა კავშირში არსად არ მოიპოვება ბიდონის ისე კეთილმოწყობილი ქარხნები, როგორც ბათომში.

ბათომის ბიდონების მრეწველობის შეწყვეტის შემდეგ ჩვენი ნავთი ხელთ უვარდებოდა ჩვენს მტრებს, რომლებიც ათა-გვარ მახინაციებით მას სახელს უტეხდენ.

ამიტომ საბჭოთა ნავთმრეწველობის ინტერესები მოითხოვდა ბიდონის მრეწველობის ცენტრის სტამბოლ-სამსუნიდან სადაც ის გადავიდა უკანასკნელ ხანებში, კვლავ ბათომში გადმოტანას, რაც ჩვენ გაგვხდის ნავთ-ექსპორტის ხელმძღვანელად და გააღონიერებს ქალაქის ვაჭრობა-მრეწველობას საერთოდ.

მთელი წელი გაგრძელდა დისკუსია ამ საკითხის გარშემო. ნავთსინდიკატის ანგარიშით აჭარპრომტორგს ძვირი დაუჯდებოდა ბიდონის დამზადება. დეტალურ გამოანგარიშებამ გამოარკვია, რომ აჭარპრომტორგი ორი კაპ. ნაკლებათ გააკეთებს თითო ბიდონს, ვიდრე სტამბოლის ფასები იქნება.

ამ რიგათ შეთანხმება მოხდა და ნავთსინდიკატმა აჭარპრომტორგს დაუკვეთა ბიდონები. ჯერ-ჯერობით დანაკვეთი მცირეა: ნავთსინდიკატისათვის 1.200.000 ფუთიანი ბიდონი და ზაკგოსტორგისათვის, რომელსაც ანატოლიაში ნავთის გაზიდვის მონოპოლია აქვს, 300.000 ბიდონი.

საბიდონო მრეწველობის აღდგენისათვის ეს, რასაკვირველია, წვეთია ზღვაში. მარტო ერთ ქარხანას (ყოფ. ხაჩატუროვის) შეუძლია [illegible]ში 15.000 ბიდონის დამზადება. აჭარპრომტორგს კიდევ ორი ასეთი ქარხანა აქვს, მაგრამ უმთავრესი იყო საქმის დაწყება.

ჩვენი ბიდონები, რომელთაც ჩაქუჩი, ნამგალი და წითელი ვარსკვლავი ამშვენებს, საუკეთესო აგიტატორებია. საბჭოთა ბიდონი შემოივლის მთელ მახლობელ აღმოსავლეთს, ეწვევა არაბებს, ეგვიპტელებს და სხვა ჩაგრულ ერებს.

აი [illegible] ზეიმობდა 4 ივლისს ბიდონის ქარხნის გახსნას ბათომის პროლეტარიატი.

გრ. ნუცუბიძე.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე ბათომში

კოოპერაციის დღე ბათომში დიდი ზეიმით ჩატარდა. ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციების და სავაჭროების შენობები მორთული იყო მწვანით, გამოფენილი ლოზუნგები, მოწოდებები. კოოპერატიულ სავაჭროებში გამართული იყო ლოტორეია, რომლის ბილეთი ეძლეოდა ყველას, ვინც რამეს იყიდდა.

საღამოს აკადემიურ თეატრში გამართა აჭარისტანის ცაკის, სახკომსაბჭოს, ქალაქის საბჭოს და მუშათა ორგანიზაციების გაერთებული მიტინგი კოოპერაციის დღის აღსანიშნავათ. აჭარისტანის ცაკმა და ქალაქის საბჭომ დღის აღსანიშნავათ ლენინგრადის ქუჩას დაარქვეს კოოპერაციის ქუჩა და კოოპერაციის სახლისათვის უძღვნეს შენობა ინტერნაციონალის ქუჩაზე.

ნ—ი.

მე-4 რაიონის უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა კონფერენცია

პირველი სხდომა

გუშინ 8 ივლისს საღამოთი გაიხსნა მე-4 რაიონის უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა კონფერენცია. პირველი სხდომა გახსნა საქ. პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. ყურულაშვილმა, რომელიც შეეხო რა კონფერენციის დღის წესრიგში დასმულ საჭირბოროტო საკითხებს, უსურვა კონფერენციას ნაყოფიერი მუშაობა.

ამხ. ყურულაშვილის სიტყვის შემდეგ არჩეულ იქნა საქმიანი პრეზიდიუმი 15 კაცისაგან.

კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. კალინინი, ზინოვიევი, ფ. მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ს. ორჯონიკიძე, მ. ცხაკაია, შ. ელიავა, მარიამ ორახელაშვილი, ვ. სტურუა, ს. ხანოიანი და ნაზარეტიანი.

დღის წესრიგის და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ კონფერენცია შეუდგა მოხსენებათა მოსმენას, პირველ საკითხად დასმული იყო ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ამხ. სერგოს თბილისში არ ყოფნის გამო მოხსენების წაკითხვა იკისრა ამხ. მამია ორახელაშვილმა კონფერენციის შემდეგ სხდომაზე.

მორიგი მოხსენება შეეხებოდა კოოპერაციის მნიშვნელობას და მუშკოოპის საანგარიშო მოხსენებას, რომელიც წაიკითხა თბილისის მუშკოოპის გამგეობის წევრმა ამხ. ერისთავმა. მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა იმ როლზე, რომელიც უკავია კოოპერატიულ ვაჭრობას საბჭოთა კავშირის სამეურნეო პოლიტიკაში. შემდეგ მომხსენებელი გადავიდა თბილისის მუშკოოპის პრაქტიკულ საქმიანობაზე და აღნიშნა მისი წარმატებანი და აგრეთვე ნაკლულევანებანი. მომხსენებელს მისცეს რამდენიმე შეკითხვა.

შემდეგ გაიმართა კამათი.

სესხის განაწილება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს შორის

რამოდენიმე დღის წინად სახელმწიფო ბანკის ა.-კ. კანტორასთან შესდგა ბანკების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც განიხილა გაერთიანებული საკრედიტო გეგმა მიმდინარე სამეურნეო წლის მეოთხე კვარტალისათვის. თათბირმა მოიწონა ფინანსიურ-ეკონომიურ ბიუროს მიერ დამუშავებული გაერთიანებული საკრედიტო გეგმა და გადასწყვიტა განსახილველად გეგმის საქართ. საგეგმო კომისიაში გადაგზავნა.

შეერთებულ საკრედიტო გეგმაში შედის საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედ ყველა ბანკების მოქმედება ამ უკანასკნელ კვარტალში.

კრედიტების საერთო რაოდენობა მესამე კვარტალიდან შედარებით გადიდებულია 25 პროცენტით.

სახელმწიფო ბანკზე მოდის მეურნეობის სხვადასხვა დარგზე ყველა ბანკების მიერ გასაცემელი კრედიტის საერთო რაოდენობის 50 პროცენტი.

რაც შეეხება კრედიტების განაწილებას მეურნეობის სხვადასხვა დარგებს შორის, ყველაზე მეტი სესხი მიეცემა სასოფლო მეურნეობას და ვაჭრობას. მეურნეობის ამ ორ დარგს მისაღები კრედიტის რაოდენობის მხრივ უჭირავს თანაბარი ადგილი.

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებზე კრედიტის განაწილება მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრისათვის მოხდება შემდეგი პროცენტული შეფარდებით:

მრეწველობას მიეცემა—9,4 პროც., ტრანსპორტს—2,7 პროც., სასოფლო მეურნეობას—39,8 პროც., ვაჭრობას—38,0 პროც., კომუნალურ მეურნეობას—5,1 პროც., საკრედიტო დაწესებულებებს—4,3 პროც., სხვა კრედიტები—0,7 პროც..

მეოთხე კვარტალისთვის (1 ივლისიდან—1 ოქტომბრამდე) სასოფლო-მეურნეობისათვის კრედიტი მესამე კვარტალთან შედარებით გადიდებულია 28,2 პროცენტით, კრედიტი გადიდდა უმთავრესად სასოფლო [illegible] და [illegible]ტო კოოპერაციის, კრედიტი სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციისთვის კი მეოთხე კვარტალშიც რამოდენიმედ შემცირებულია.

სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციზე გასაცემი კრედიტის დიდი წილი ხვდა სას.-სამეურ. კოოპ. ცენტრალურ გაერთიანებებს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისთვის კრედიტების მნიშვნელოვანი გადიდება მეოთხე კვარტალში გამოიწვია ამ სეზონში წარმოეულმა აბრეშუმის პარკის კამპანიამ.

ვაჭრობისსთვის გასაცემი კრედიტი გადიდებულია მეოთხე კვარტალისათვის 28 პროცენტით. კრედიტი დიდდება [illegible] ყველა დარგისათვის: როგორც სახელმწიფო და კოოპერატიული, ისე კერძო ვაჭრობისათვის.

მრეწველობაზე გაღებულ კრედიტის საერთო ჯამი გადიდებულია 19 პროცენტით. ამ მიზნით კრედიტების გაღება მეტ წილად ევალებათ სახელმწიფო და ქალაქის ბანკებს.

კლიენტურის მიხედვით ყველაზე მეტი კრედიტი აბსოლიუტურად და შედარებით გაცემულად იქნება კოოპერაციზე, რამოდენიმედ შემცირებულად კრედიტის საერთო ჯამიდან სახელმწიფო წარმოებებზე. კრედიტი გადიდებულია აგრეთვე კერძო პირებისათვის.

რევოლიუციის მუზეუმის მუშაობა

(საუბარი მუზეუმის დირექტორთან—ამხ. გ. ბიბინეიშვილთან)

რევოლიუციის მუზეუმი ეკუთვნის იმ დაწესებულებათა რიცხვს, რომლი[illegible] [illegible]ეობის შემდეგ. მოკლე დროის განმავლობაში მუზეუმმა დიდი მუშაობა შეასრულა იმ მასალების შეგროვების და დალაგების საქმეში, რომლებიც შეეხება ჩვენი ქვეყნის რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიას.

მუზეუმში არის 15 განყოფილება, რომელთაგან მრავალი ჯერ კიდევ არ არის ფართოთ გაშლილი.

მუზეუმის განყოფილებებში თავმოყრილია ძვირფასი და იშვიათი მასალები [illegible]ნასკნელი საუკუნის რევოლიუციონური და საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიიდან. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ცხრა მეათედი იმისა, რაც გამოცემული იყო საქართველოს ფარგლებში უკანასკნელი [illegible] საუკუნის განმავლობაში ლეგალურათ და არალეგალურათ; უკვე არის მუზეუმში.

მარტო საგაზეთო განყოფილებაში არის ლეგალური და არალეგალური გაზეთების 2.000 მეტი ეკზემპლიარი. მათ შორის არის სრული კომპლექტებიც.

მუზეუმში არის პროკლამაციების, რევოლიუციონერ მოღვაწეთა ფოტოგრაფიული სურათების, პლაკატების, მოგონების, ძველი რევოლიუციონური დროშების და ხელთნაწერების დიდი რაოდენობა.

ჩვენი მუზეუმის დიდი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მთელი ისტორიულ-რევოლიუციონური მასალა, რომელიც შეეხება საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიას, თავმოყრილია ამ მუზეუმში, რაც მეტათ უადვილებს მუშაობას მკვლევართ.

მუზეუმის მდიდარი საარქივო განყოფილება უამრავ მასალას იძლევა კომპარტიის და რევოლიუციის ისტორიისათვის. მუზეუმის საარქივო მასალები დიდ ინტერესს წარმოადგენენ პარტიის საკონტროლო კომისიისთვისაც.

სხვათა შორის მუზეუმის საარქივო განყოფილების მიერ ამას წინათ გამომჟღავნებულ იქნენ 70—80-იან წლების დიდი პროვოკატორები [illegible], რომელთა გამცემლობის წყალობით მრავლათ იღუპებოდენ „ნაროდნაია ვოლია“-ს და სხვა ორგანიზაციების საუკეთესო მებრძოლები.

მუზეუმი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს 1905 წლის მასალების შეგროვებას, დალაგებას და გამოფენის მოწყობას, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ მშრომელთა ფართო ფენები გაეცნონ საქართველოს მუშათა კლასის გმირული ბრძოლის ისტორიას.

მუზეუმის გამოფენებს ათვალიერებენ პარტკოლები, წითელარმიელთა ნაწილები, კომკავშირელები და სხვა ორგანიზაციები. მრავლათ მოდიან აგრეთვე ექსკურსიები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ხარკოვიდან, [illegible] და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან. ისინი ეცნობიან მუზეუმის ექსპონატებს, რომლებიც აშკარავებენ გრანდიოზული რევოლიუციონური ბრძოლის სურათს.

დიპლომატიური დარბაზობა

6 ივლისს, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მეორე წლის თავზე, გერმანიის და ოსმალეთის გენერალური კონსულები თბილისში ესტუმრენ საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ამიერ-კავკასიაში და მიულოცეს მას კონსტიტუციის ორი წლის თავი.

იტალიის კონსულმა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს გაუგზავნა წერილობითი მილოცვა.

ქართული ნარზანი

მოქ. დ. ქებაძის წინადადება კობის ნარზანის წყაროების ექსპლოატაციის შესახებ.

მთავარ საკურორტო სამმართველოს კონტრ-აგენტმა ბორჯომის მინერალური წყლების ექსპლოატაციის საქმეში მოქ. დ. ქებაძემ საქართველოს ეკონომიურ საბჭოში შეიტანა წინადადება კობის (სადგურია საქართველოს სამხედრო გზაზე) ნარზანის წყაროების ექსპლოატაციის შესახებ.

ეკონომიურმა საბჭომ მოქ. ქებაძის განცხადება დასკვნისათვის გადასცა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

სახელმწიფო საგეგმო კომისიამ პრინციპიალურად სასურველად სცნო კობის ნარზანის მდიდარი წყაროების ექსპლოატაცია, მაგრამ საჭიროთ დაინახა წინადადება მისცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო-მადნო განყოფილებას, რათა მან შეიმუშავოს აღნიშნული წყაროების რაციონალური ექსპლოატაციის პირობები.

კობის ნარზანის წყაროებს გაზის შემადგენლობის მხრივ პირველი ადგილი უჭირავთ მთელს საბჭოთა კავშირში.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში

თვალყურის დევნება ადგილობრივ გადასახადის აკრეფის დროს.

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ა/კ ფინსახკომის რწმუნებულს თავის ადგილობრივ აპარატის საშუალებით თვალყური ადევნოს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადასახადების აკრების დროს „ადგილობრივ ფინ[illegible]ის დრ[illegible] დებულებით“ ხ[illegible]ვანელობას.

საქართველოს საფონდო კომისიის დაარსება

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ა/წ. აპრილის 30-ის თარიღით გამოცემულ დადგენილების თანახმად, ა/კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოსთან დაარსდა საქართველოს საფონდო კომისია ა/კ. ფინსახკომის რწმუნებულის (თავმჯდომარე), მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის და საქართველოს საგანგებო კომისიის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

საექიმო-სამეცნიერო ექსპედიციის გაგზავნა სვანეთში

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად, სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ სცნო საექიმო-სამეცნიერო ექსპედიციის გაგზავნა სვანეთში.

ამ [illegible]ულ იქნა სახკომსაბჭოს თ[illegible] 3.500 მან. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის განკარგულებაში.

დახმარება წითელარმიის ცვალებად შემადგენლობის წითელარმიელთ[illegible] სამსა[illegible]

ა/კ. ფინსახკომის რწმუნებულის დასკვნის თანახმად, გაღებულ იქნა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის განკარგულებაში, წითელ არმიის ცვალებად შემადგენლობის წითელ არმიელთათვის სანიტარულ სამსახურისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავად, სახკომსაბჭოს თანხებიდან 6.176 მ. 30 კ.

ბრძოლა კალიის წინააღმდეგ

ა/კ. ფინსახკომის რწმუნებულის დასკვნის თანახმად, გაღებულ იქნა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის განკარგულებაში. თბილისის მაზრის სოღანლუღის რაიონში კალიის საწინააღმდეგო ბრძოლის საწარმოებლად სახკომსაბჭოს თანხებიდან 1.072 მან. თბილისის აღმასკომის ანგარიშში.

განათლების სახ. კომისარიატის შუამდგომლობა

სახ. კომისართა საბჭომ გამოყო კომისია ამხ. ა. გეგეჭკორის, ს. ჯუღელის, მ. მათიკაშვილის და მარიამ ორახელაშვილის შემადგენლობით, რომელსაც დავალებული აქვს გამოარკვიოს ადგილობრივ, თუ რამდენად შესაძლებელია მუხრანის რაიონში მდებარე მამული „ციხის ძირი“-ს სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის გადაცემა.

რესპუბლიკის საავადმყოფოების მდგომარეობა

სახ. კომისართა საბჭომ დაავალა კომისიას ამხ. ა. გეგეჭკორის, მარიამ ორახელაშვილის და ე. კვანტალიანის შემადგენლობით ადგილობრივ დაათვალიეროს ქ. თბილისის ყველა საავადმყოფოები და სამკურნალოები, გამოარკვიოს მათი საჭიროებანი და დეფექტები და წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს მოხსენება საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

გორის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა

სამაზრო აღმასკომმა დაადგინა — ეთხოვოს საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს აღძრას შუამდგომლობა ა/კ. ც. ა. კ-ის წინაშე, რათა ქ. გორი, როგორც მიწისძვრისაგან დაზარალებული ქალაქი, განთავისუფლებული იქნეს 1926 წ. ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადისაგან, რომ ამით ადგილობრივ მცხოვრებთ მიეცეს საშუალება ფართოდ აწარმოონ საამშენებლო მუშაობა.

საბჭოთა ქვედა-აპარატის გაჯანსაღებისათვის

ამიერ-კავკასიის და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატებმა დაამთავრეს საბჭოთა ქვედა აპარატების გამოკვლევა შემდეგ თემებში: ბარალეთის (ახალქალაქის მაზრა), ბაშკიჩეთის (ბორჩალოს მაზრა), ხარაგოულის ([illegible]ნის მაზრა) და იყალთოსი (თელავის მაზრა).

ამ თემებში განზრახულია გაიგზავნოს სპეციალური ხელმძღვანელები, რომლებიც დარჩებიან ადგილზე ორ-სამ თვეს და იმუშავებენ მართველობის ყოველ დარგში, ხელმძღვანელობას გაუწევენ ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს სწავლა განათლების, ადმინისტრატიული საფინანსო-საბიუჯეტო, კოოპერაციის, სამეურნეო და სხვა საქმეების წესიერად გაძღოლაში, შეუწყობენ ხელს დეფექტების აღმოფხვრას და წესიერად საქმის წარმოებას.

ამ მუშაობის შედეგი იქნება ხსენებულ თემებიდან რამოდენიმე თემის საბჭოთა აპარატის სანიმუშოთ გაუმჯობესება, რაც საფუძვლად დაედება დანარჩენ თემებში მუშაობას.

ა/კ. მ. გ. ინსპექციას განზრახული აქვს ასეთი მუშაობა ჩაატაროს ა.-კავკასიის სხვა რესპუბლიკებშიაც, რა მიზნითაც მის მიერ მიმდინარეობს ქვედა საბჭოთა აპარატების გამოკვლევა აზერბეიჯანში და სომხეთში, რაც ამ მოკლე დროში დამთავრდება.

ლიტერატურის გამოცემა

თანახმად ა.-კ. მ. გ. ინსპექციის კოლეგიის დადგენილებისა, სახელმწიფოებრივ აპარატის გამაუმჯობესებელი განყოფილება შეუდგა, პროგრამის და ხარჯთ-აღრიცხვის დამუშავებას და ადმინისტრაციულ-ტეხნიკის, კერძოთ საქმის-წარმოების შესახებ ლიტერატურის გამოცემას ქართულ, თურქულ და სომხურ ენებზე.

განზრახულია გამოსაცემად შემდეგი ლიტერატურა:

1) საბჭოთა ქვედა აპარატისათვის სახელმძღვანელო საქმის-წარმოებისა.

2) საზოგადო საქმის-წარმოების სახელმძღვანელო საშუალო და უმაღლეს საბჭოთა აპარატისათვის.

3) სახელმძღვანელო, მმართველობის ტეხნიკის საკითხების შესახებ და

4) სახელმძღვანელო შესახებ იმისა, თუ რა უნდა აკეთონ ეკონომიურმა თათბირმა და შ. მ. ო-ს საორგანიზაციო ბიუროს უჯრედებმა, სახელმწიფოაპარატის გაუმჯობესებისათვის.

მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები

ამ ზაფხულზე ეწყობა მასწავლებელთა გადასამზადებელი თვენახევრიანი კურსები.

კურსებზე მოხვდებიან ოთხ-წლედის ის მასწავლებლები, რომლებიც 1923—24 წლის ზაფხულზე ვერ მოხვდენ კურსებზე; ამ კურსებმა უნდა მისცეს მასწავლებლებს მუშაობისათვის საჭირო ცოდნა და განუმარტოს ის როლი, რომელიც მან უნდა შეასრულოს სოფლის კულტურულად ამაღლების საქმეში.

კურსების დებულებანი და პროგრამები უკვე დამუშავებულია, სადაც ნაჩვენებია, თუ რა მოცულობის მასალაა საჭირო 4 წლედის მასწავლებლისათვის.

კურსები გაიხსნება კონფერენციით, რომელზედაც გამოირკვევა მასწავლებელთა შემადგენლობა.

კურსებს უძღვება ხელმძღვანელთა კოლექტივი—შემდგარი სამი პირისაგან.

რათა მუშაობა არ შეფერხდეს, მიღებულია ეხლავე ზომები კურსების საორგანიზაციო და სამეურნეო საკითხების წინასწარ მოსაგვარებლად.

საბჭ სასამართლო

პროკურორ მაჭავარიანის, ჯორბენაძის და სხვ. საქმე

7 ივლისის საღამოს სხდომა

მხარეების კამათი

დამცველთა შუამდგომლობით სასამართლომ წაიკითხა ბრალდებულ მაჭავარიანის განცხადება, მისი გამსახლში ყოფნის დროს (პატიმარ) დიმიტრიადთან საუბრის შესახებ, რომელმაც მოქ. დათიკაშვილის დავალებით უთხრა მას: „ტყუილა დაღუპე ამდენი ხალხი,—სთხოვეთ, რომ მიეჩქიოს რამეო და სხ“.

ბრალმდებლების სიტყვა

მხარეების მიერ აღძრულ შუამდგომლობათა დაკმაყოფილების შემდეგ, უზენაეს სასამართლომ საქმის კვლევა ძიება დაასრულა და გადავიდა მხარეების კამათზე.

სიტყვას ამბობს უზენაეს სასამართლოს პროკურორი ამხ. კარტოზია.

ბრალდებულთა პერსონალურათ დახასიათების შემდეგ, ის სავსებით მხარს უჭერს მათდამი წამოყენებულ ბრალდებებს.

უზენაეს სასამართლოს პროკურორის ამხ. კარტოზიას საბრალმდებლო სიტყვის შემდეგ, ლაპარაკობს სახელმწიფო ბრალდების მეორე წარმომადგენელი ამხ. გახოკია.

დამცველების სიტყვა

ამხ. გახოკიას საბრალდებლო სიტყვის შემდეგ, სიტყვა მიეცა დამცველთა კოლეგიის წევრს ღვამიჩავას (ბრალდებულ შოშიაშვილის დამცველს).

უკანასკნელის მიმართ წარდგენილ ბრალდებას იგი დეტალურად შეეხო, შეადარა ერთმანეთს მოწმეების ჩვენება და გააკრიტიკა მოქ. დათიკაშვილის ჩვენების ის სამი ვერსია, რომელიც მან საგანგებო კომისია სხვადასხვა დროს მისცა.

დამცველი ღვამიჩავა ერთმანეთს ადარებს სამივე ჩვენების იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია მოქ. დათიკაშვილის—ბრალდებულ შოშიაშვილსა და ლოტოევთან, რესტორან „ელდორადო“-ში, მირიანაშვილის ღვინის საწყობში და სხვაგან შეხვედრაზე. ხედავს რა სხვადასხვაობას ამ ჩვენებებში, დამცველი ღვამიჩავა გადაჭრით ამბობს, რომ მოქ. დათიკაშვილი „მთავარი ინჟინერია“ იმ საქმის, რომელმაც იუსტიციის კომისარიატის პატიოსანი მუშაკი საბრალდებლო სკამზე დასვა. ის კატეგორიულად მოითხოვს, რომ ბრალდებული შოშიაშვილი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ.

ღვამიჩავას სიტყვის შემდეგ საღამოს სხდომა შეწყდა და კამათი მეორე დღისათვის გადაიდო.

8 ივლისის დილის სხდომა

კამათი გრძელდება. დილის სხდომაზე სიტყვა მიეცა დამცველ შ. მესხიშვილს.

მოქ. დათიკაშვილის ჩვენებიდან დამცველი მესხიშვილი აკრიტიკებს ჩვენების იმ ნაწილს, რომელიც მიმართულია ბრალდებულ ლოტოევის წინააღმდეგ და ამბობს, რომ უკანასკნელს არ მიუძღვის ის დანაშაული, რომელსაც ითვალისწინებს ს. ს. კოდექსის მე-112 მუხლი (სახელმწიფოდან მინიჭებულ უფლებების პირად ინტერესებისათვის გამოყენება).

ამის დასამტკიცებლად დამცველი მრავალ ფაქტებს მიმართავს და უზენაეს სასამართლოს სთხოვს:—ბრალდებული ლოტოევი, რომელიც მოქ. დათიკაშვილის უდანაშაულო მსხვერპლი გახდა, მასზე წარდგენილი ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო, სრულიად განთავისუფლებული იქნეს.

შ. მესხიშვილის სიტყვის შემდეგ, ვრცელი სიტყვით გამოვიდა პ. ქავთარაძე—ბრალდებულ მაჭავარიანის დამცველი.

ის დეტალურად არჩევს მოწმე დათიკაშვილის ჩვენებებს, პროკურორ კარტოზიას საბრალმდებლო დასკვნებს და ბრალდებულ ნ. მაჭავარიანს სავსებით უდანაშაულოდ სთვლის.

პროკურორ მაჭავარიანის გარშემო წარმოდგენილ ბრალდების გასაბათილებლად, ე. ი. დანაშაულის, რომელსაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 117 მუხლში (მექრთამეობა), დამცველ ქავთარაძეს მრავალი საბუთები მოჰყავს.

თამარ მაჭავარიანის მიმართ წარმოდგენილ ბრალდების დარღვევას სცდილობს დამცველი შურღაია. ის ავსებს პ. ქავთარაძის დაცვითი სიტყვის ზოგიერთ დეტალებს და მოითხოვს, რომ თამარ მაჭავარიანის მიმართ მოხსნილ იქნეს ის ბრალდება, რომელსაც ითვალისწინებს ს.ს.კ. 108 მუხლი, რამდენად ქრთამის აღებას ადგილი არ ჰქონია.

შურღაიას შემდეგ ბრალდებულ ფიზიცკის დასაცავად სიტყვა მიეცა გელაზაროვს. ის დაუმტკიცებლად სთვლის მაჭავარიანის მიერ მოქ. დათიკაშვილისაგან ქრთამის აღებას.

ბრალდებულ სიმონ ჯორბენაძის დასაცავად დამცველები ბარათაშვილი და დოლუხანოვი მთელ რიგ ჩვენებათა გაკრიტიკების შემდეგ, ამტკიცებენ, რომ ბრალდებული ს. ჯორბენაძე თუ მისთვის მოულოდნელ გარემოებით პროკურორ მაჭავარიანს ესტუმრა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას სახელმწიფოდან მინიჭებულ უფლებებს პირადი ინტერესებისთვის გამოეყენებიოს.

დამცველების სიტყვის შემდეგ დილის სხდომა სრულ 6 საათზე დასრულდა და მორიგი სხდომა შესდგება დღეს, დილის 10 საათზე.

რადიო

რადიო-მოამბე სადგურის მოწყობა თბილისში

ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის ამიერ-კავკასიის საოლქო სამმართველოში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, რომ საკითხი ამერიკაში მძლავრი რადიო-სადგურის შეკვეთის შესახებ ჯერ კიდევ არ არის საბოლოოთ გადაწყვეტილი, თუმცა წინასწარი მოლაპარაკება ამერიკულ ფირმა ვესტერნთან უკვე დამთავრებულია.

მძლავრი რადიო-სადგური დაჯდება 27 ათასი დოლარი, რადიო მოწყობილობა კი 24 ათასი დოლარი თბილისში ჩამოტანით.

შეკვეთის მიცემის შემდეგ მძლავრი რადიო-სადგური ბათომში მიღებული იქნება არა უგვიანეს 20 კვირისა. ამრიგათ, უნდა ვიფიქროთ, რომ მიმდინარე წლის ბოლოს თბილისს ექნება თავისი რადიო-მოამბე სადგური.

ამ დღეებში ლენინგრადიდან და მოსკოვიდან დაბრუნდენ საოლქო სამმართველოს წარმომადგენლები, რომლებმაც დაათვალიერეს თბილისის და ბაქოს მომავალი რადიო-მოამბე სადგურების ნაწილები.

მიმდინარე წლის სექტემბერში რადიო-სადგურების ყველა ნაწილები ჩამოტანილი იქნება თბილისში.

ამავე დროისათვის დამთავრებული იქნება რადიო-სადგურის შენობების აგება.

რადიო-სადგურის დადგმას თბილისში (ნავთლუღში) მოუნდება თითქმის მთელი ზამთარი. ამრიგათ მომავალი რადიო-სადგური ამუშავებული იქნება მხოლოდ გაზაფხულზე.

ახალი მძლავრი რადიო-მოამბე სადგურის უპირატესობას შეადგენს ის, რომ სადგურს ერთდაიმავე დროს შეუძლია აწარმოოს მუშაობა რადიო-დეპეშების მისაღებათ და გასაგზავნათ.

დეპეშები თბილისიდან რადიოს საშუალებით გადაცემული იქნება 2.000 ვერსის მანძილზე.

ქრონიკა

საქ. ცაკში

თიანეთის რაიონი

საქ. ცაკის დადგენილებით დროებით შემოერთებული იქნა თბილისის მაზრაზე. ამის გამო თიანეთის რაიონში მოწყობილი იქნება სასამართლო, ადმინისტრატიული და სხვა სახელმწიფო დაწესებულებანი.

სახელწოდების შეცვლა

საქ. ცაკმა დაადგინა მიმართოს საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კავკასიაში, რათა სადგურ ვაჩნაძიანს ამიერიდან ეწოდოს სადგური „შრომა“.

მაზრების ადმინისტრატიულად დაყოფა

საქ. ცაკმა დაამტკიცა ახალციხის მაზრის ადმინისტრატიულად დაყოფის გეგმა.

ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოში

საქ. ცაკის დადგენილებით ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. შალვა ელიავა, ხოლო პასუხისმგებელ მდივნათ ამხ. გვანცალაძე.

— **უფასო საექიმო დახმარება.** ჯანსახკომმა უკვე დაგზავნა პროვინციებში თვალის ექიმთა რაზმები, რომლებიც უფასოთ გაუწევენ საექიმო დახმარებას ღარიბ გლეხებს და ამასთანავე დაურიგებენ სათვალეებს საჭიროების მიხედვით.

— **წარმოკავშირმა** დაადგინა წელს პირველ რიგში საბჭოთა კავშირის ბაზრებზე გაიტანოს სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები, უმთავრესად ხილეულობა.

— **ფასები მატყლზე.** მეცხვარეები, რომლებიც აწვდიან მატყლს წარმოკავშირს, გაზაფხულზე გაკრეჭილ ფუთ მატყლში ღებულობენ 10 მან., შემოდგომისაში კი 11 მან.

— **სასოფლო-სამეურნეო გადასახადი** გადამხდელებს შეუძლიათ შეიტანონ ყველა საფოსტო და სატელეგრაფო დაწესებულებებში ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატსა და ფინ აკომის შორის დადებულ შეთანხმების თანახმად.

— **მარქსის სახელობის** თამბაქოს ქარხანაში ჯანმრთელობის მავნე ცეხები გამოყოფილი იქნა დანარჩენებისაგან.

— **საპნის დამზადება.** საპონ-ზეთის ტრესტმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დაამზადა 53 ათასი ფუთი საპონი.

— **აბრეშუმის ქარხნის** საფუძვლიან შეკეთება-მოსაწყობად ცეკავშირმა სახ. კომისართა საბჭოდან გამოითხოვა 50.000 მან.

— **სამკერვალ სამრეწველო** 1-ლ ქარხანასთან გაიხსნა მეორე მექანიკური განყოფილება 50 მანქანით.

— **შრომის ნაყოფიერების ზრდა.** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში თამბაქოს ტრესტის ყველა ქარხნებში დამზადდა 450 მილიონი ცალი პაპიროსი და 130 ათასი გირვანქა თამბაქო. შრომის ნაყოფიერება შარშანდელთან შედარებით გაიზარდა ორჯერ.

— **სავაჭრო წარმომადგენლობა.** საქ. უმაღ. სამეურნეო საბჭოს გახსნილი აქვს თავის წარმომადგენლობა 7 ადგილას: ხარკოვში, თურქესტანში, ბაქოში, ბათომში, ქუთაისში, ერევანში და სოხუმში.

— **უმუშევრობასთან ბრძოლა.** ქ. სოხუმში საზოგადო სამუშაოების მოსაწყობათ შრომის სახ. კომისარიატმა მიავლინა ამხ. ი. მუსიშიკოვი.

— **დამზღვეველთა რიცხვი.** მიმდინარე წლის 1 ივნისისათვის საქართველოში ითვლებოდა 5,871 დამზღვეველი წარმოება-დაწესებულება.

— **მიწად-მოქ. სახ. კომისარიატი** მიწა-ტყის კავშირის სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა სექციასთან ერთად მოკლე ხანში გამოსცემს საგაკვეთილო დებულებას სოფლის მეურნეობის დარგში.

— **კალიასთან საბრძოლველად** სახალხო კომისართა საბჭომ მავნეებთან ბრძოლის ბიუროს განკარგულებაში გადასდო 2,500 მან.

— **ტყის მოშენება.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილების ხელმძღვანელობით ყარაიაზის სატყეოში 19 დესეტინა მიწაზე დაითესა მუხის და აკაციის თესლები.

— **დასაზღვევი ანარიცხები.** ივნისის განმავლობაში თბ. დამზღვევ კასას დასაზღვევი საპროცენტო ანარიცხებიდან შემოუვიდა 260,075 მ.

— **სარძეო დახმარება.** თბ. დამზღვევ კასამ ივნისში სარძეო დახმარების სახით გასცა თითო ბავშვიან დაზღვეულებზე 16,045 მან.

— **სახალხო ჯანმრთელობის დასაცავად.** ჯანსახკომი ამჟამად იმუშავებს 5 წლიან გეგმას მთელ რესპუბლიკაში სახალხო ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

ხელოვნება

მეტი ყურადღება ხალხურ სიმღერებს.

საქართველო ტკბილი სიმღერების ქვეყანაა.

ვინ არ მოუსმენია და ვინ არ მოუხიბლავს აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერის ტკბილ გუგუნს, ან კიდევ დასავლეთ საქართველოს ცელქს და კრიმანჭულებით აფერადებულ სიმღერას.

ქართული სიმღერები საქართველოს მშრომელი ხალხის ერთი კულტურულ განძთაგანია. სამწუხაროდ ეს განძი თითქმის შეუსწავლელი და, რაც უმთავრესია, გამოუყენებელია. რიგიანათ შესრულებულ ხალხურ სიმღერას იშვიათად თუ მოისმენს სადმე ადამიანი ჩვენში.

ხალხური სიმღერების მნიშვნელობა კარგა ხანია დააფასეს ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში. იქ კარგა ხანია უკვე არსებობენ ხალხური სიმღერების აკადემიური გუნდები, რომლებიც შესაფერის ნივთიერ მდგომარეობაშიც არიან ჩაყენებული და დიდ სამსახურსაც უწევენ მუშებისა და გლეხების ფართო წრეებს.

ამას წინად უკრაინის გუნდი თბილისშიაც იყო. ჩვენშიაც კეთდება თითქოს რაღაცა ამ მხრივ. დაარსებულია უკვე რამოდენიმე წელია მომღერალთა აკადემიური გუნდი კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით, მაგრამ ეს გუნდი ისეთ ცუდ ნივთიერ მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ მას ბევრი არაფერი მოეთხოვება. მიუხედავათ მისა, გუნდი მუშაობს, მას ჩინებულად შეუსწავლია 150-ათზე მეტი სიმღერა. გუნდის რეპერტუარი განსაკუთრებით რევოლიუციონურ-ხალხურია. სიმღერებში მუშურ-გლეხური კილოებია ჩაქსოვილი. მაგრამ ამ ჟამად გუნდს არ ჰქონია საშვალება ეს თავისი ნაშრომი მშრომელთა ფართო წრეებში გაიტანოს, ეს ძვირფასი სიმღერები მშრომელ ხალხს მოასმინოს და მას გაუზიაროს.

გუნდი ნივთიერი ხელმოკლეობის გამო იძულებულია გულხელდაკრეფილი იჯდეს მაშინ, როდესაც სულ ცოტაოდენი დახმარება საჭირო ამ სასარგებლო საქმისათვის. განათლების სახალხო კომისარიატმა და ხელოვნების მთავარმა საბჭომ უნდა გაიღოს ეს დახმარება. ამ გუნდს მოვლა და პატრონობა სჭირია.

გუნდს უკვე აღუძრავს შუამდგომლობა დახმარების შესახებ.

მუშათა ორგანიზაციებიც და პროფკავშირებიც ითხოვენ ამ გუნდისათვის დახმარების აღმოჩენას.

ვ. გ.

— **ოპერის თეატრში** დღეს ვახტანგოვის სახელობის სტუდიის მიერ უკანასკნელად წარმოდგენილი იქნება „კლარა გაზულის თეატრი“.

— **განათლების მუშაკთა კლუბში.** დღეს წარმოდგენა ქართულ ენაზე. პარასკევს წარმოდგენა რუსულ ენაზე. დიდი მხიარული კომედია—„წინეთ და ახლა“ 2 მოქ.

შემთხვევები

— **დაჭრა.** 7 ივლისს, ღამით, ტროცკის ქ. № 14, მოქ. დანგიაშვილმა ეჭვიანობის ნიადაგზე დასჭრა თავისი ცოლი ეკატერინე.

— **ცოლის მოკვლა.** 6 ივლისს დილით მეტეხის აღმართი № 6, იაკობ ალეკომა თავის სამჭედლოში მოკლა თავისივე ყოფილი ცოლი მანია ანდრიასოვა. მკვლელი შეიპყრეს.

— **მეეტლის დაჭრა.** 7 ივლისს ღრმაღელის ახლოს იპოვეს რევოლვერით დაჭრილი მეეტლე კიუბრალოვი ეტლიანათ.

— **მოწამვლა.** 7 ივლისს, პლეხანოვის ქ. № 124 იოდით თავი მოიწამლა იუსტია გამსახურემ. მიზეზი გამოურკვეველია.

— **შეპყრობა.** 5 ივლის შეიპყრეს მუსა კიხი, რომელსაც ბრალდება აზერბეიჯანის ქ. № 1, მოქ. ელქინძეს ბინის გაქურდვა.

— **ხევში გადავარდნა.** 7 ივლისს, დილისით, მერვე სამილიციო უბანში დიდ ხევში გადავარდა და დაიღუპა მოქ. შალვა სარიაშვილი.

— **ჯიბგირის შეპყრობა.** 7 ივლისს, დილისით, ახალ ბაზარში შეიპყრეს ჯიბგირი სულეიმან ჰაჯი ოღლი.

— **ცეცხლი.** 7 ივლისს, საღამოს, როზა ლიუქსემბურგის სახელობის ქარხანაში გაჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლისმქრობელ რაზმმა. ზარალი გამოურკვეველია.

— **თავის ჩამოხრჩობა.** 24 ივნისს ს. ბერმაკსიზში ბაწრით თავი ჩამოიხრჩო მარგო ავანოვამ. მიზეზი გამოურკვეველია.

— **მხეცი.** 25 ივნისს შეიპყრეს ს. ედილკილის მცხოვრები გ. მაკაროვი, რომელმაც გააუპატიურა 4 წლის ბავშვი ანასტასია ანანიკოვა.

— **ქურდობა.** 7 ივლისს დავიდოვის ქ. № 2 მოქ. გ. ბალხოევის ბინიდან მოიპარეს 600 მან. ნივთები.

მუშათა ცხოვრება

მუშური მადლობა ღირსეულ პროფესორს.

უნივერსიტ. პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის დეკანათ ითვლება ინჟ. პროფესორი ა. დიდებულიძე, რომელიც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. მას აუტანელი მუშაობა აწევს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ის ყოველთვის ერთგულათ, ფაქიზად და მზრუნველობით ეპყრობა მსმენელებს. შეუძლებელია არ მოგხიბლოს ამ ადამიანის დაკვირვებამ და ფრთხილად მოქცევამ.

მუშური მადლობა ღირსეულ პროფესორს, ვუსურვებთ მას შემდეგშიაც განაგრძოს თავისი მუშაობა მშრომელ ხალხის საკეთილდღეოდ.

მუშისშვილი გოგებაშვილი.

თავხედს გამოსწორება სჭირდება.

(ალმასკომის საყურადღებოდ)

დიდუბის ქუჩაზე—სახლი № 23—ეკუთვნის მიკიტანს, ვინმე გრიშა აკოფოვს. ამ სახლში სცხოვრობენ სულ მუშა-მოსამსახურენი, მაგრამ სახლის პატრონის უდიერ და უხეშ მოპყრობას მდგმურების მიმართ საზღვარი არა აქვს; სხვათა შორის, აქავე სცხოვრობს ერთი ძველი მოწინავე ამხანაგი, მუშა ბაგრატ ავაქოვი.

სახლის პატრონს ავაქოვი კანონიერ ქირას აძლევს. სწორედ ამისათვის ეს ქალბატონი აღარ აძლევს მოსვენებას მას და ცდილობს, როგორმე სახლიდან განდევნოს იგი.

მუშის ოჯახს იგი სწამებს ქურდობას და უგონებს სხვადასხვა ქორებს.

ასეთი მოქმედება თავხედ სახლის პატრონის ხშირია სხვა მუშების მიმართაც, რათა საბჭოთა მოსამსახურენი და მუშები იძულებულნი ჰყოს გაშორდნენ ამ სახლს.

ეს ქალბატონი აუცილებლად უნდა ალაგმოს.

მუშკორი გამვლელი.

ბოლო უნდა მოეღოს ასეთ უწესრიგობას.

(პირველი სამილიციო უბნის საყურადღებოდ).

წყნეთის ქუჩაზე არსებობს ვერის მუშათა კლუბი, სადაც ხშირად იმართება საღამო - წარმოდგენები. ეს ძლიერ სასიამოვნო არის, რომ კლუბში ხშირად ეწყობოდეს გასართობები, მაგრამ საუბედუროდ კლუბის ადმინისტრაცია ამას არ აქცევს ყურადღებას. აქ ხშირად უწესრიგობასაც აქვს ადგილი.

ერთხელ აქ იყო გამართული საღამო, სადაც გამოდიოდენ ახალგაზრდა მოცეკვავენი პრიზებზე და დაბოლოს ისე გამწვავდა საქმე, რომ მოხდა შიგ დარბაზში დიდი აურზაური და თვით სცენაზედაც იყო ჩხუბი და აყალ-მაყალი.

მილიციამ ამ გვარ მოვლენებს უნდა მიაქციოს ყურადღება და მიიღოს შესაფერი ზომებიც.

მეთვალყური.

საერთო აბანოებში დანიშნეთ ექიმი ან მისი თანაშემწე

(ქალაქის ალმასკომის საყურადღებოდ)

საერთო აბანოებში არ სწარმოებს მობანავეთა გასინჯვა და აქ ხშირად სხვადასხვა სენით დაავადმყოფებულები ბანაობენ საერთო აუზში. სრულიად ჯანმრთელი კაცი აბანოს შემდეგ ავად ხდება. 8 ივლისს ვიყავი საერთო აბანოში და იქ შევიქენი ასეთი ფაქტის მოწმე: ერთი კაცი ჩემს გვერდით იხდიდა, შეახვია თავისი ტანისამოსი და ის იყო, უნდა წასულიყო საბანაოდ, მაგრამ შემთხვევით აბანოში მსახურმა თვალი შეასწრო, რომ მას მარჯვენა ფეხზე რამოდენიმე იარა ჰქონდა და რა თქმა უნდა აღარ გაუშვა. ეს კარგი, რომ დროზე ნახეს, თორემ სრულიად უდანაშაულო და ჯანმრთელი ხალხი დაშავდებოდა. ამიტომ მე მგონი, ურიგო არ იქნება, რომ დაინიშნოს საერთო აბანოებში თუ ექიმი არა, მისი თანაშემწე მაინც. საერთო აბანოებში უმეტესად მუშები დადიან და სანიტარული პირობები კი აბანოებში ჯერჯერობით კიდევ ვერ არის კარგად მოგვარებული.

მუშა ვ. ბარბაქაძე.

მუშათა ქრონიკა

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან)

— **კლუბების გასაფართოებლად.** თბილ. საუბნო პროფკავშირმა სადგ. საგარეჯოს, გურჯაანისა და ნავთლუღის კლუბების გასაფართოებლად მიიღო 50 ათასი მანეთი.

— **შეღებვა და შეკეთება.** სადგ. თბილისიდან აგარამდე სწარმოებს რკ. გზ. ხიდების შეღებვა და შეკეთება.

— **ლენინის სახ.** სალიანდაგო სამსახურის მე-6 უბანი შეუდგა სადგ. მეტეხთან არსებულ ყაზარმის შეკეთებას.

— **რკინისგზელთა სახლი.** ახლო ხანში სადგ. გორში დასრულდება რკინისგზელთა სახლის აგება 20 კაცისათვის.

— **სკოლა და ამბულატორია.** სადგ. თელავში განზრახულია აიგოს რკ. გზ. სკოლა და ამბულატორია.

— **ლენინის კუთხეების დათვალიერება.** თბ. საუბნო პროფკავშირი შეუდგა უბანში არსებულ ლენინის კუთხეების დათვალიერებას.

— **მოჭადრაკეთა წრე.** თბ. დეპოს ადგილკომმა დააარსა მოჭადრაკეთა წრე, რომელშიაც მეცადინეობს 91 კაცი.

— **კინო რკინისგზელებისათვის.** თბ. საუბნო პროფკავშირმა მისცა სადგ. ნავთლუღის ადგილკომს 127 მანეთი კინოს საზაფხულო შენობის მოსაწყობად.

— 15 ივლისიდან დაიწყება თბ. მთავარ სახელოსნოების კაპიტალური შეკეთება.

ინფ. კ—ძე.

სოფლად

უთავლყურობის გამო ტყე ნადგურდება

კოჯორი, კიკეთი და პრიუტი მთიანი ადგილებია. მაგრამ სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ როგორც კოჯორს, ისე კიკეთის და პრიუტის ტყეს არ ყოლია პატრონი და ამ ზამთრის და გაზაფხულის თვეებში მოიჭრა დაახლოებით სამი ათას ძირ ხეზე მეტი.

ტყის გამგის თანაშემწე გარედ არ გამოდიოდა, ტყის მცველებს თავის პირად საქმეებზე ამუშავებდა და ეს რომ იცოდნენ გლეხებმა, რა თქმა უნდა ტყესა სჭრიდენ.

ამ არა სასურველ მოვლენას მიაქცია ყურადღება ადგილობრივმა კომუჯრედმა. გამოჰყო კომისია შვიდი კაცისაგან შედგარი, რომელსაც უნდა გამოერკვია მიზეზი ტყეების განადგურებისა: კომისიის დასკვნით თუ ასეთი „თვალყური" ექნა ტყეს, დაახლოებით ერთ-ორ წელიწადში კოჯორის და კიკეთის ტყე ოცნებათ დარჩებათ.

ტყის გამგის თანაშემწე კვირაობით სტოვებდა მის რაიონს და მიდიოდა ყარაიაზში თავის გაბარებულ საქონლის დასახედავათ. თუ ადგილობრივ იყო, უნდებოდა თავის მონადირე „კაპუეტ" მიმინოს მოვლას და ტყის მცველები კი შეშის ხერხვას და წყლის ზიდვას.

ტყის საქმეს, მცოდნე და მუყაითი პიროვნება უნდა და არა ისეთი როგორც, აქაური ხელმძღვანელი მუშაკებია.

სიტყვა მე მგონია თბილისის ალმასკომს ეკუთვნის, ვინაიდან ეს აგარაკები მათ ხელშია.

შამან.

არ ცოდნაა თუ დაუდევრობა?

ს. კიწიის შვიდწლედში ივნისის შუა რიცხვებში მასწავლებლების ნებართვით მოწყობილ იქნა ვახშამი, კურსდამთავრებულ მოწაფეების საპატივცემლოთ. ღვინოს დალევის შემდეგ შეზარხოშებულ მონაწილეებს მოუვიდათ ერთმანეთთან ჩხუბი და უთანხმოება. ზოგიერთებმა რევოლვერზედაც იტაცეს ხელი.

ვახშმის დეკორაცია უცბათ შეიცვალა. ბახუსის ცრემლით ატირებულნი ფეხის ხანცალით დაიშალენ. ასეთსავე მოვლენას ჰქონდა ადგილი ქ. ახალ-სენაკში სალიკვიდაციო ტექნიკუმის კურსდამთავრებულთა მიერ მოწყობილ საღამოზე. მხიარულების გარდა სამ მოწაფეს რიგიანად გაუჩეხეს თავი. ასეთი არა საჭირო ვახშმის და ბანკეტის მოსაწყობათ საწყალ ღარიბ მოწაფეობას ბლომათ ეხარჯება ფული.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რატომ უშვებს ამისთანებს სენაკის განათლების ინსპექტორი, როდესაც იცის, რომ აუცილებლათ არა სასურველ შედეგებს ექნება ადგილი.

ხ—ა.

ვერ ვასაღებთ სოფლის ნაწარმოებს

(საყულიო, ქუთ. მაზ.)

გასული წლის მოუსავლობამ და ურევანდელმა არაჩვეულებრივმა ზამთარმა დიდს გაჭირვებაში ჩააგდო გლეხობა. ბალი, კაკლის ხეები, ლეღვი და ბროწეული თითქმის სულ გადახმა; უმეტესობას აკლია სიმინდი, საყიდლათ თუ სადმე იშოვნე, ფუთი 2 მ. 40 კ. ღირს. უთესიათ კარტოფილი, საადრიო ლობიო და კომბოსტო. ამათი ბაზარი უმეტესათ სადგური მუხიანია. აქ კი ამათ კოოპერატივები არ ყიდულობს, კერძო ვაჭრებიც ვერ ყიდულობენ ბლომათ, რადგან სადგური 30 ფ. მეტს არ აგზავნის დღეში, ამის გამო ყველა ესენი ძლიერ დაცემულ ფასებში იყიდება, რაც უფრო ართულებს გლეხობის გაჭირვებას. ამის გამო საჭიროთ მიგვაჩნია: 1) შეიყიდონ ჩვენი ნაწარმოები კოოპერატივებმა და 2) სადგურსაც მეტი საქონლის გაგზავნის ნება მიეცეს.

საყულიელი გლეხი.

წერილებიდან

მცხეთა. აქ არსებობს მუშების და გლეხებისაგან შემდგარი დრამატიული წრე. ის სრულიად უსასყიდლოთ აწყობს წარმოდგენებს ადგილობრივ მცხოვრებთათვის. მაყურებელნი მეტად კმაყოფილნი არიან დრამატიულ წრის მუშაობით.

გ. ონტოფელი.

—

ერწოს თემი. (თბილ. მ.). მოულოდნელ დიდი წვიმის გამო, 4 ივლისს ადიდდა ს. სიმონიანთ ხევის მდინარე. რომელმაც წაიღო მოსამკელად გამზადებული ყანები. შედგენილია კომისია ზარალის გამოსარკვევათ.

დამსწრე.

—

დიდი თონეთი, (მანგლ. რ.) ჩვენ თემში შედის ექვსი მოზრდილი სოფელი. აგრონომიულ დახმარების მხრივ ძალიან ცუდათაა დაყენებული საქმე. არის ერთი აგრონომი, რომელიც 46 სოფელს ხელმძღვანელობს და ცხადია ვერც ერთს სასურველად ვერ სწვდება. ჩვენს თემს მოეპოება საფონდო ადგილები, რომელიც გამოდგება საცდელ-საჩვენებელ მინდვრებათ და სოფლად აგრონომიულ ცოდნის გამავრცელებელ კერად. საჭიროა მხოლოდ მცოდნე კაცი.

მიხ. კუტუბიძე.

—

სალხინო (სამეგრელო). ჩვენი რაიონის სამკითხველოები ვერ ამართლებენ თავის დანიშნულებას. სამკითხველოებს აღებენ დრო-გამოშვებით, მაგიდაზე დაყრილია გაზეთები. გამგე ასეთ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევს. გლეხებს გაზეთებს არ უკითხავენ. წიგნებითაც ღარიბია სამკითხველო.

ხანი.

—

ს. შემოქმედი, (გურია). რამდენიმე წლისწინათ წყალდიდობამ დაგვინგრია ხიდი. ამ ხიდის რკინის ნაწილები დღესაც უპატრონოთ სილაში და წყალში გდია. გარდა ამისა უყურადღებოთ არის დატოვებული კონკის მოწყობილობაც, რომლის გამოყვანასაც ერთ დროს შეუდგენ და დღეს დაივიწყებას მისცეს ეს საკითხი. ან ხიდი და კონკა უნდა გაკეთდეს და ეს მასალები გამოყენებულ იქნას, ან და გაიყიდოს ისინი, რომ უქმად არ ეყარონ და არ ნადგურდებოდენ.

ვ. ბ—ძე.

ს. ხაში (გარე კახ.) ადგილობრივი მცხოვრები ვანო ბეტ. ქოქრაშვილი წყალს ამღვრევს და სხვადასხვა პროვოკაციული გამოსვლებით გლეხკომის მუშაობაში შეაქვს არევ-დარევა. გარდა ამისა ის ცრუ ხმებს ავრცელებს ყოფილ მენშევიკების შესახებ და ხელს უშლის სოფლად მშვიდობიან მუშაობას. ნუ თუ აქამდე ვერ ალაგმეთ ეს ვაჟბატონი?

ტურა.

—

ს. შინდისი (თბილ. მაზ.), ჩვენს სოფელში ძალიან დაზიანებულია სკოლის შენობა. თუ ის არ იქნა შეკეთებული ამ ზამთრისათვის, მოწაფეები სკოლის გარეთ დარჩებიან. საჭიროა აქედანვე ზომების მიღება.

ალ. გვინჩიძე.

—

ს. ხორში (სამეგრ.) გლეხ ალექსი აფშილავას ნორმის ფარგლებში დატოვებული ჰქონდა მამისგან მოშენებული სამოსახლო ადგილი. აფშილავას არა აქვს სრული ნორმა. ამავე დროს, ვისაც ეს ადგილი გადაეცა. ის დაქირავებულ ხელით ამუშავებს აფშილავას მიწას. ერთხელ იყო გამოცემული განკარგულება საადგილ-მამულო განყოფ. გამგე ამხ. ქანტურიას მიერ აფშილავასათვის მისი სამოსახლოს დაბრუნების შესახებ. რატომღაც დღემდი ყურს არავინ არ იბერტყავს!

ნარეკლიანი.

—

ს. დიდი-ჭყონი, (სენ. მაზ.) 29 ივნისს ჩვენს სოფლის დარბაზში მოძრავი კინო აპარატის საშუალებით უჩვენეს ადგილობრივ გლეხობას შესაფერის ახსნა-განმარტებებით სურათები: „ქრისტინე", „საქართველოს გასაბჭოება" და სხვა, სურათების მიმდინარეობა ტექნიკურად კარგად იყო მოწყობილი. დამსწრეების უმრავლესობას არასოდეს არ ენახათ კინო, განსაკუთრებით გლეხქალებს და ამიტომ მათ სიხარულს საზღვარი არ ქონია.

ასეთი სურათების ხშირად ჩვენება დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც გლეხობას, ისე ხელისუფლებასაც.

ასი.

სოფლის ქრონიკა

— **მისაბაძი დადგენილება.** გორის ალმასკომის დადგენილებით თემ-ალმასკომების თავმჯდომარეების სოფლებში სიარულის დროს ეკრძალებათ იარაღების და მათრახის ტარება.

— **სიძველეთა დასაცავად.** სოფ. გომის (გორის მაზრა) ალმასკომმა მოიწვია გლეხების ყრილობა, რომელზედაც დაადგინეს, რომ ცხოველი მონაწილეობა მიიღონ ისტორიულ სიძველეთა დაცვაში.

— **დაზარალებული გლეხები.** რაჭის სამაზრო ალმასკომმა გაგზავნა კომისია სოფ. ბუგეულში მეწყერისაგან დაზარალებული გლეხების ახალ ადგილებზე გადასახლების საკითხის გამოსარკვევად.

— **ხაშურის** ალმასკომმა დაადგინა შეუდგეს ხაშურის ქუჩების გამშვენიერებას. პირველ რიგში გამშვენიერებულ და მოწყობილი იქნება „მწვანე მოედანი".

— **ცხინვალში** განზრახულია გაიხსნას თბ. კომუნალური ბანკის განყოფილება.

— **ქუთაისის სამაზრო** გლეხკომმა დაადგინა გადასდოს ათასი მანეთი დვალიშვილების თემში აფთიაქისა და საექიმო პუნქტის გასახსნელად.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ რედაქტორო!

გაზ. „კომუნისტის" 7 ივნისის ნომერში მოთავსებულია ჩემს წინააღმდეგ „სურებელ ტეტიას" წერილი. ვინაიდან წამოყენებული ბრალდებები სიმართლეს არ შეეფერა, ვიწვევ წერილის ავტორს სამედიატორო სამართალში 20 დღის განმავლობაში დღიდან ამ წინადადების გამოქვეყნებისა. მტყუანი მხარე ხდის 50 მანეთს შუა-სურების სახალხო სახლის სასარგებლოთ. მედიატორეებათ ვასახელებ: გ. შათირიშვილს და ვ. ჩხაიძეს.

ა. ტრაპაიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

თბილისის კომიტეტი იწვევს: დღეს, 9 ივლისს, სწორედ საღამოს 5 ს., მუშათა ცენტ. კლუბში შესდგება

უჯრედებში მომუშავე ქალთა ორგანიზატორების საერთო საქალაქო კრება

მუშკორებთან, სამკორებთან, ქალკორებთან, ახკორებთან და ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებთან ერთად.

დღის წესრიგი: მოხსენება ამხ. მარიამ ორახელაშვილისა და ადამიძისა: ჟურნალ „კომუნისტკა"-ს ხუთი წლის იუბილე.

თ. კ. მდივანი ასრიბეკოვი.
ქ. გ.-გამგე კიდაიშ.

— ს. კ. პ. ც. კ—ტის საარ. გამ. განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. მიშა როყვას დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ცეკას საარ. გამანაწილებელ განყოფილებაში.

თ. კ. ალმრიცხ.-ანაწ. განყოფილება წინადადებას იძლევა ორი დღის განმავლობაში ამხ. კვირიკაძესთან გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები:

სართანია ეფიმ, ალუთიძევი ბაგრატ, [illegible]შტაშვილი ერმ., შუდინი მარკ, სემიონოვი სვიმონ, მარკინცევიჩ ია, კაზოევი პორფირ.

ქვევით ჩამოთვლილ ამხანაგებს კი ევალებათ დღესვე, 9 ივლისს, გამოცხადდენ ამხ. საკუთ-ნ:

შაქაროვი ივანე, უსტიაშნი არამ, მატევოსიანცი მატ., ოგანოვი სარიბ, ტერ-ოგანეზოვი მარკ, მირზოიან რუბენ, კაჰაროვი გრიგოლ, შახსუვაროვ გრიგოლ.

— ავიაქიმიის მეორე რაიონის საბჭო იწვევს: დღეს 9 ივლისს, საღამოს 7 საათზე ცენტ. მუშ. კლუბში შესდგება რაიაბჭოს სხდომა ავიაქიმიის უჯრედების მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1. მუშ. კლუბში ავიაქიმიის კუთხის გახსნა. 2. 14 ივლისის ავიოქიმიის დღესასწაული) შესახებ. 3. ვერცხლის ლატარეის შესახებ, 4. სხვადასხვა.

დასწრება ყველასთვის სავალდებულოა.

მეორე რაისაბჭო.

— არსრაიკომი იწვევს: პარასკევს, 10 ივლისს, საღამოს 5 ს. ცენტ. მუშ. კლუბში მოწვეულია მეტალისტთა ყველა კომუჯრედების კრება („კუსტოვოე") (ასენალი, სპილ. სატ. ქარხანა და 26 კომუნარის ქარხანა).

დასწრება სავალდებულოა ამ უჯრედებში მყოფ ყველა პარტწევრისა და კანდიდატებისთვის.

დღის წესრიგი: 1. ლითონის ტრესტის მუშაობის შესახებ. 2. მიმდინარე საკითხები.

მდივანი მელაძე.

— არსრაიკომი წინადადებას აძლევს ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს დღეს, 9 ივლის, საღამოს 7 საათზე გამოცხადდენ რაიკომში პრეზიდიუმის სხდომაზე კანდიდატობიდან პარტწევრობაზე გადასარიცხათ:

ამბარცუმოვა გაბრიელ, აკოფოვი დავით, ასტვაცატუროვ მარტ., ბათიევა ანნა, ბესტავაშვილი ზაქარია, ვისმან ცილია, გოლბა ეკ., გორსკი ალ., გერასიმენკო ალექსი ევტუშევსკი პავლე, ქობულაშვილი გაბრიელ, კატიევ გრიგოლ, კულიკოვ სტეფან, მურადოვ გრიგოლ, მინასიან არმენუის, მანდაკუნი ტიგ. მაჩკალოვ ლევან, მასტუჩაძე ვასილ, ნაზაროვ კარაპეტ, ნურიჯანოვ გურგენ, ოვეკოვ ალ., პაპაიანც სურენ, პეტროსიან. სირანუშ, სარქისოვ აშოთ, სკვერცოვ ნიკ., ტერ-არუთინოვა დარია, თარხანოვ მიკირტიჩ, ულუჩკინ სტეფან, ხატისოვ სტეფან, ასაშვილი ვლ., საჩკოვ ნიკოლოზ.

მდივანი მელაძე.

— სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ქართულ მუშფაკის კომუჯრედის ბიურო აცხადებს, რომ 10 ივლისს პარასკევს, ქართულ მუშფაკის შენობაში (სამასწავლო შესახვევი № 4—2) შესდგება სრულ საღამოს 5 საათზე ქართულ მუშფაკის და სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუჯრედის გაერთიანებული მორიგი კრება. ქართულ მუშფაკის და სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუჯრედის ყველა წევრები და კანდიდატები უნდა გამოცხადდენ სრულ 5 საათზე დანიშნულ ადგილას.

განცხადებები

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ვერა ალექსის ასული კვანტალიანისა, შვილები ვალოდია, ალექსანდრე, მიშა ვახტანგი და ივლიტი კვანტალიანები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი

საბა დიმიტრის ძე კვანტალიანის

გარდაცვალებას.

დასაფლავება მოხდება შაბათს, 11 ივლისს, 3 საათზე ქ. სამტრედიაში.

№ 1898—2—1

ხინათინ გველესიანი აუწყებს ყველას თავისი ძვირფასი მეგობრის

დავით ლომთაძის

დაკარგვას

№ 1904—2—1

გაუბედურებულნი მამა ბესარიონ და დედა მარიამ ლომთაძენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 7 ამა ივლისს უდროოთ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი ერთად ერთი შვილი

დავით ბესარიონის ძე ლომთაძე

პანაშვიდი შაბათს, 11 ივლისს, საღამოს 7 საათზე გრიგოლ გველესიანის ბინაზე (განოვის ქუჩა სახლი № 3. ბინა 18). გამოსვენება კვირას, 12 ივლისს, ამავე ბინიდან დილის 10 საათზე.

№ 1904—2—1

მიშა ჩაჩუა, მიშა კვატაშიძე, სევერიანე იდიბერიძე, გ. ნუცუბიძე, დ. ყიასაშვილი, ლ. ფირცხალავა, ალ. კალანდაძე და არტ. ჩაჩუა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს, ამხანაგებს და მეგობრებს, რომ 7 ივლისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი მეგობარი

დავით (დათიკო) ლომთაძე

№ 1902—1—1

გრიგოლ და მელანია გველესიანები შვილებითურთ გიორგით და ლევანით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ სამშაბათს, 7 ამა ივლისს, უდროოდ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი და ძვირფასი შვილის სწორი ახალგაზრდა

დავით ბესარიონის ძე ლომთაძე

პანაშვიდი 11 ივლისს, შაბათს, საღამოს 7 საათზე მათ ბინაზე (განოვის ქუჩა № 3, ბინა 18) გამოსვენება კვირას, 12 ივლისს, ამავე ბინიდან დილის 10 საათზე.

№ 1904—2—1

ღრმათ დამწუხრებულნი ქმარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე შოთაძე, შვილებით ანა, მიხეილ, საშა, ვლადიმერ, ვიქტორ; რძლებით გენრიეტა, ელენე და ანა, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ა/წ. 14 ივლისს დღის 12 საათზე გადახდილი იქნება გარდაცვალებულ

პელაგია (პუპინა) დავითის ასულ შოთაძის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ს. ჩხარში წმ. გიორგის ეკლესიაზე.

№ 1909—1—1

გულდათუთქული და ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე-მაქსიმე, შვილები დავით, კონსტანტინე, ირაკლი, აკაკი ქუთათელაძეები ქალიშვილი ნინი და ქმარი მისი დავით კოპალი, ძმისწული მიშა საყვარელიძე, აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 11 ივლისს ქ. ხონში სოფ. [illegible] გიორგის ეკლესიაზე შესდგება შეტიოლი

თებრო გიორგის ასულის საყვარელიძე-ქუთათელაძისა

რომელიც გარდაიცვალა ქ. თბილისში რკ. გზის საავადმყოფოში 17 ივნისს.

№ 1903—1—1

თბილისის საქონლისა და საფონდო ბირჟასთან დაარსებულია

ცნობების მიმწოდებელი ბიურო

რკინის-გზით და წყლით ტვირთების გადაზიდვის შესახებ

ბიურო ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

1. რჩევა და კონსულტაცია სარკინისგზო უფლების ყველა საკითხებზე.
2. ცნობების მიცემა რკინის გზით და გემებით მგზავრობის ღირებულების შესახებ ყველაზე მოხერხებულ მარშრუტის არჩევით.
3. ცნობების მიცემა ბარგის და ტვირთების გადაზიდვის ღირებულების შესახებ, კლიენტებისათვის ყველაზე ხელსაყრელ მიმართულების და ტვირთების სწორი სატარიფო სახელწოდების დასახელებით, ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ.
4. საბარგო ფურცლების (накладных) და აქტების მიღება შესამოწმებლათ, გადაყოლილ თანხის გამოსარკვევად, ტვირთების არა თავის დროზე გადაზიდვისათვის ხარჯების და ტვირთის ან ბარგის ნაწილობრივ დაკლების. გაფუჭების და დაკარგვის ასანაზღაურებლად ბიურო ადგენს ანგარიშებს და განცხადებებს პრეტენზიების წარსადგენათ.

ბიურო ღიაა დღის 12 ნახ. საათიდან 3 საათამდე ყოველ-დღე ბირჟაში მეცადინეობის დღეებში.

სოლოლაკის ქ. № 7. ტელეფონი № 4—60. ნ. 1458. 3—1

სენაკის სამაზრო ალმასკომის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 14 ივლისიდან კურორტებზე

„ლებარდე ჩეგოლაზე"

იხსნება სააგარაკო სეზონი

გზები და ხიდები შეკეთებულია და შეიძლება სრულიად უშიშარი მგზავრობა აგარაკებამდი. აგარაკებზე გაშენებულია კარავები და სახლები. დაწესებულია შემდეგი ნიხრი: თითო ადგილი კარავებში მოაგარაკეს ეძლევა მთელი სეზონის განმავლობაში ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით სამი მანეთიდან რვა მანეთამდი და სახლებში კი ექვს მანეთიდან 16 მანეთამდი.

მუშა-მოსამსახურეებს რომელნიც წიდიან ოჯახით საგარაკოთ, ეძლევათ ოჯახის წევრებზე ოთახი 50 პროც. დაკლებით.

აგარაკი ლებარდე დაშორებულია ქ. სენაკიდან 97 ვერსით, ხოლო აგარაკი ჩეგოლა ძევს 8 ვერსი იქით. აგარაკებზე მოაგარაკენი უზრუნველყოფილნი იქნებიან სურსათ-სანოვაგით. აგარაკებზე საუცხოვო ჰავა და სამკურნალო წყლებია.

ამავე დროს განყოფილება აცხადებს, რომ ს. კურზუში შემდგარია არტელი, რომელიც კისრულობს შეღავათიან ფასებში მოაგარაკეთა ჩაყვანას დანიშნულ ადგილზე.

სამაზრო ალმასკომის თავმჯდომარე მ. ნოდია.

სენაკის სამაზრო ალმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილების გამგე ო. ოჩიგავა.

ნის. 1457. 1—1

მიხა ჩოდრიშვილის სახელობის

ზინამრეწვ. ხელოსანთა-საწარმოვთა კავშირის

კლუბი

(პლეხანოვის პროსპექტი № 66)

ყოველ დღე კინო, წარმოდგენები, ლოტო, ბილიარდი და სხვა გასართობები.

კლუბში მოწყობილია სამკითხველო და ლენინის კუთხე. საღამოობით უკრავს სასულე ორკესტრი.

ბაღი გამშვენიერებულია და განათებულია

კლუბთან გახსნილია

ბუფეტი-რესტორანი

აზიური და ევროპიული საჭმელებით.

ფასები ხელმისაწვდომია

საუცხოვო კუთხე დასასვენებლად.

ნის. № 1323—25—17

ს. მ. უ. ს. ს. მ. უ. ს.

„ცენტროტრამოტი"

საზაფხულო სახალხო მიმოსვლა

თბილისი—ვლადიკავკაზი
კოჯორი
მანგლისი

და აგრეთვე ყველა მიმართულებით.

კანტორის მისამართი: პუშკინის ქუჩა № ტელ. 20—96. (ყოფილ თამამშოვის ქარვასლაში) კანტორა ღიაა დილის 7 საათ. საღ. 7 საათ.

0—14 ნ. 1249

თბილისის ალმასკომის საადგილ-მამულო განყოფილება

ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ა.-წ. 11 ივლისს დღის 12 საათზე

მისგან დანიშნულია შეჯიბრებითი წესით ქალ. თბილისში მდებარე შემდეგი ბაღების

საჯარო ვაჭრობა

1. ყოფ. ჩორგოლაშვილის — — კრწანისში.
2. „ ედემის ბაღი — — — ვერაზე.
3. „ შნეიდერის და მადერის პლეხანოვ. პრ. №№ 145—147

შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ უნდა წარმოდგენილ იქნას 10 მანეთის საწინდარი.

დანარჩენი დაწვრილებითი ცნობების მიღება მსურველთ მიიღონ განყოფილების კანცელარიაში (ალმასკომის შენობაში ოთახი. № 66).

ნის. 1456. 2—2

პარტიულ და საბჭოთა სკოლების სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების, მუშათა ორგანიზაციების და კლუბ-სამკითხველოების და

ყველასა და ყველას საყურადღებოთ

საქართველოს პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობის გამოცემისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიამ

მიიღო დიდძალი ახალი საქონელი

და მომავალშიაც ასეთს ყოველთვის თავის დროზე მიიღებს

მიღებულია როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთის ძვირფასი საქონელი:

ქაღალდი პელაგინი 18 მან.
საზღვარგარეთის კნოპკა კოლოფი 70 კაპ.
რუსეთის საკონსესიო ფაბრიკის ქაღალდი 6 მან.
ლენტი „პელიკანი" საზღვარგარეთის 6 მან.
იგივე რუსეთის საკონ. ფაბრიკის 2 მან. 20 კაპ.
გატოვილნიკები 15 მანეთიდან ზევით.
კანტორის საანგარიშო ჩოთქები 3 მ. 25 კაპ. 11 მ. 20 კაპ.

მიღებულია აგრეთვე დიდძალი

ალბომის, ყდის, მაგიდის გადასაფარებელი და სხვა ქაღალდები. კალკა სხვადასხვა ნომრები, საუკეთესო ხარისხის პორტფელები, გადასაღები (Копировальн.) წიგნები, კალმები, ევრიკისა და სხვების ყველა „ლეონარდის" ქარხნისა, სამელნეები საკავშირო ნიშნითა და სხვა

ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები

საქონელი იყიდება ყველაზე როგორც წვრილად, ისე ბითუმად

საგრძნობლად დაკლებულ ფასებში

წიგნის მაღაზიას უშუალო კავშირი აქვს დაკავშირებული საკანცელარიო ნივთების დამამზადებელ ტრესტებთან და რუსეთის ყველა დიდ გამომცემლობასთან

ყოველ დღე ვღებულობთ ჩქარი ფოსტით ახალ-ახალ ლიტერატურას

ფასები ყოველგვარ კონკურენციის გარეშეა

საქონლის დაკვეთა შეიძლება ფოსტითაც, საქონლის ღირებულების ერთი მეოთხედის წინასწარ გადმოგზავნით.

საქონელი მოითხოვეთ შემდეგ ჩვენ მაღაზიებში:

მაღაზია № 1 ცენტრალური, რუსთაველის პრ. № 22.
„ № 2 ვაგზლისა და გოგოლის ქუჩ. კუთხე.
„ № 3 ვოლოდარსკის ქ. № 9 გლეხთა სასახლის ქვეშ.
„ № 4 პლეხანოვის პრ. № 101
„ № 5 კომინტერნის (ყოფ. სასახლის) № 4.

განყოფილება სენაკში.

ნის. № 1454—5—1 პატივისცემით გამგეობა.

დავკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი, მედსანშრომის კავშირის საწევრო წიგნაკი № 4900, ცინობის წიგნაკი № 8362 და საარიცხვო ბარათი ჯანსახ. კომ. მიერ მოცემული სილიბისტრო თომას ძე მაღლაფერიძეს სახელზე. ჩ. გ. 1907 1—1

დავკარგე მოწმობა 8 შრომის სკოლის გათავების შესახებ № 82 ანნა ზაქარიას ას. გარსევანიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1905 1—1

დავკარგე მონაწერი სამხედრო აღრიცხვის „ვ" № 10835 კონსტანტინე გორდეზიანის სახელზე. ჩ. გ. 1908 1—1

დავკარგე 120 ვედრო ღვინის გადმოსატანი მოწმობა № 7983 და კიდევ მე-268 ვედრის მოწმობა № 6356 ალექსანდრე არუთინოვის სახელზე. ჩ. გ. 1901 1—1

დავკარგე კავშირის წიგნაკი მიხეილ გაზაევის სახელზე. ჩ. გ. 1896 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 365 და პირადობის წიგნაკი № 275 სარდიონ მაკოს ძე ქაჯაიას სახელზე. ჩ. გ. 1899 1—1

დავკარგე მასწავლებელ სერგო დეკანოსიძის სახელზე პირადი წიგნაკი, პირადობის მოწმობა და კავშირის დროებითი მოწმობა. ჩ. გ. 1900 1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 741 ნიკოლოზ სერ ძე კაპალეიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1897 1—1

დავკარგე საკანდიდატო პარტბილეთი გაცემული № 2292 გიორგი კონტრიძის სახელზე. ჩ. გ. 1906 1—1

დავკარგე საბჭოთა მუშაკების კავშირის წიგნაკი № 8122, პირადობის მოწმობა და სხვა მოწმობები ნიკოლოზ გიგოს ძე გურგენიძის სახელზე. ჩ. გ. 1895 1—1

ტირაჟი—10.026

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა. სამ. წულუკიძის ქ. № 4